

თემის ჩრდილი:

კონფლიქტთან დაკავშირებული მიგრაციის მიმდინარე
და გრძელვადიანი შედეგები საქართველოში
სტატიების კრებული

THE SHADOW OF WAR:

CURRENT AND LONG-TERM CONSEQUENCES
OF THE CONFLICT-RELATED MIGRATION IN GEORGIA

COLLECTION OF ARTICLES



ROSA LUXEMBURG STIFTUNG



ნაციონალური
პოლიტიკისა და საზოგადოებრივი
მენეჯმენტის დაცვის ცენტრი

თმის ჩრდილი:

კონფლიქტთან დაკავშირებული მიგრაციის მიმდინარე
და გრძელვადიანი შედეგები საქართველოში
სტატიების კრებული

THE SHADOW OF WAR:

CURRENT AND LONG-TERM CONSEQUENCES
OF THE CONFLICT-RELATED MIGRATION IN GEORGIA
COLLECTION OF ARTICLES

ავტორები

გიორგი ჯაჯუნაშვილი
იულია ორეშინა
ნინო ბიგვავა

Authors

GIORGI ZAZUNISHVILI
YULIA ORESHINA
NINO BIGVAVA

სამეცნიერო რედაქტორი
Scholarly editor

ბაქარ ბერეკაშვილი
BAKAR BEREKASHVILI

ქართულენოვანი სტატიების რედაქტორი
ინგლისურენოვანი სტატიების რედაქტორი

თინათინ თურქია
მარიამ ორკოდაშვილი

Editors

TINATIN TURKIA (Georgian articles)
MARIAM ORKODASHVILI (English articles)

პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი
Project idea and supervision

იულია ორეშინა
YULIA ORESHINA

პუბლიკაცია გამოცემულია როგორც ლუქსემბურგის ფონდის მხარდაჭერით
და ექვემდებარება უფასო გავრცელებას.
პუბლიკაციაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა,
არ გამოხატავდეს როგორც ლუქსემბურგის ფონდის პოზიციას.

This publication was prepared with the support from the Rosa Luxemburg
Foundation and is distributed free of charge.
All opinions expressed are of the authors' alone and do not necessarily
reflect the views of the Foundation.



ROSA LUXEMBURG STIFTUNG



სარჩევი

შესავალი	6
Introduction	7
გიორგი ზაზუნიშვილი	
რუსეთ-უკრაინის ომი: გამოწვევები და შესაძლებლობები საქართველოსთვის	8
Giorgi Zazunishvili	
Russian Ukrainian war, challenges, and possibilities for Georgia (Extensive Summary)	13
Yulia Orshina	
Migration and space: anthropological reflection on Georgia’s changing face in the shadow of war in Ukraine	15
იულია ორეშინა	
მიგრაცია და სივრცე: უკრაინის ომის ანთროპოლოგიური ასახვა საქართველოს ცვალებად რეალობაზე (ვრცელი რეზიუმე)	21
ნინო ბიგვავა	
რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა საქართველოში არსებულ კონფლიქტებზე	25
Nino Bigvava	
The impact of the Russia-Ukraine war on the existing conflicts in Georgia (Extensive Summary)	31

შესავალი

რუსეთის მიერ ერთი წლის წინ უკრაინაში დაწყებულმა ომმა რეგიონის მასშტაბით სხვა ჰუმანიტარულ პრობლემებთან ერთად გამოიწვია უკრაინელი და რუსი მოსახლეობის შემოდინება საქართველოში. მაშინ, როდესაც უკრაინელი ლტოლვილებისთვის საქართველო ხშირ შემთხვევაში არ წარმოადგენდა პირველად დანიშნულების ადგილს, თავისი ხელმისაწვდომობიდან გამომდინარე, ქვეყანა იქცა თავშესაფრად იმ რუსი მოსახლეობისთვის, რომელიც თავს უსაფრთხოდ არ გრძნობდა რუსეთში. საქართველოში, რომლის მოსახლეობა 3,8 მილიონზე ნაკლებია, 300 000-ზე მეტმა რუსეთის მოქალაქემ დაიბინა და დღესდღეობით ის ყველაზე პოპულარული მიმართულებაა რუსეთის პოლიტიკური მიგრაციისთვის. ამან წარმოქმნა ერთობ ახალი ვითარება საქართველოში, ქვეყანაში, რომელსაც ტერიტორიული დავა აქვს რუსეთთან.

ქართულმა საზოგადოებამ საკმაოდ დიდი მხარდაჭერა გამოუცხადა უკრაინასა და უკრაინელ ლტოლვილებს მაშინ, როცა ბევრი სიფრთხილით ეკიდება ახალჩამოსულებს რუსეთიდან. მიუხედავად ამისა, რუსულმა საზოგადოებამ დააფუძნა საკმაოდ ინტენსიური საზოგადოებრივი ცხოვრება და, გარკვეულწილად, შექმნა კულტურული ანკლავი თბილისსა და ბათუმში — ორი მთავარი ცენტრი, სადაც სახლობენ როგორც რუსი, ასევე უკრაინელი ახალჩამოსულები. რუს ახალჩამოსულებთან შედარებით, უკრაინელი ლტოლვილები ნაკლებად ჩანან ქართულ საჯარო სივრცეში, თუ არ ჩავთვლით საპროტესტო აქციებსა და საქველმოქმედო მსვლელობებს, რომელიც ბათუმში მოეწყო.

წინამდებარე სტატიები დაიწერა ინტერკულტურული დიალოგის ფორუმის მიერ 2022 წლის შემოდგომასა და ზამთარში საქართველოში განხორციელებული კვლევითი პროექტის ფარგლებში, რომელიც როზა ლუქსემბურგის ფონდის მიერ დაფინანსდა. პროექტის ძირითადი მიზანი გახლდათ ომის შედეგად საქართველოში ახალჩამოსულთა საკითხის მიმართ ქართული საზოგადოებისა და სამეცნიერო წრეების ყურადღების მიპყრობა, აგრეთვე პროექტი მოიაზრებდა დასახელებული პრობლემის სამ მხარეს შორის — უკრაინელ ლტოლვილებს, ქართველებსა და რუს ახალჩამოსულებს შორის, დიალოგის დამყარების მცდელობას მრგვალი მაგიდის დისკუსიების საშუალებით. პროექტის გუნდმა ჩაატარა ანთროპოლოგიური კვლევა ჩაღრმავებული ინტერვიუებით ორ ლოკაციაზე — თბილისსა და ბათუმში, ვინაიდან ამ ქალაქებში ახალჩამოსულთა ანკლავები ყველაზე მასშტაბურია. სავსე კვლევის შედეგად 40-ზე მეტი ინტერვიუს მოკრება მოხერხდა. ინტერვიუები უფრო მეტად მიმართული იყო ახალჩამოსულთა პრობლემებისა და სოციალური საჭიროებების გამოვლენაზე, აგრეთვე ყურადღება ექცეოდა მათ ხედვებსა და დამოკიდებულებებს ერთმანეთისა და ადგილობრივების მიმართ — ახდენენ თუ არა კავშირების დამყარებას, გეგმავენ თუ არა საქართველოში დარჩენას თუ უკან დაბრუნებას და რა გარემოებები ახდენს გავლენას მათ გადაწყვეტილებაზე. წინამდებარე სამი სტატია წარმოადგენს სამ განსხვავებულ ხედვასა და მოკრებილი მონაცემების ანალიზს თითოეული ავტორის ინდივიდუალური პერსპექტივიდან.

იულია ორეშინა
პროექტის ხელმძღვანელი

INTRODUCTION

The outbreak of Russia's war in Ukraine one year ago has resulted, among other humanitarian problems in the entire region, in an influx of Ukrainian and Russian population to Georgia. While for Ukrainian refugees Georgia often was not the first destination, the country became a place of refuge for those Russian citizens who feel endangered in Russia due to Georgia's easy accessibility for the Russian population. Georgia with its own population of less than 3,8 mln people became a temporary home for more than 300,000 Russian citizens and is the most popular destination for Russia's political migration at the moment. This fact has created quite a new situation in Georgia, the country which is in the state of territorial conflict with Russia.

Georgian society has manifested quite a lot of support to Ukraine and Ukrainian refugees while many are cautious in regards to the newcomers from Russia. Nevertheless, the Russian community has created quite an intensive public life and, in a way, a cultural enclave in Tbilisi and in Batumi – the two main centers where both Russian and Ukrainian newcomers settle. In contrast to the Russian newcomers, Ukrainian refugees are less visible in Georgia's public space, apart from the protests and charitable marches which were organized in Batumi.

The articles that follow are the result of the research project funded by the Rosa Luxemburg Foundation and implemented by the Forum for Intercultural Dialogue in Georgia in fall-winter 2022. The main goals of the project were to bring Georgia's public and scholarly attention to the issue of the new population coming to Georgia as a result of the war and their needs, as well as to attempt to build the dialogues between three sides of this problem – Ukrainian refugees, Georgians and Russian newcomers – with the help of roundtable discussions following the in-depth anthropological research. The project team has conducted anthropological research with in-depth interviewing in two localities – Tbilisi and Batumi – where the enclaves of the new population are the largest. More than 40 interviews were collected as the result of the field research. The interviews mostly focused on the problems and social needs of the newcomers, as well as their views, the attitudes towards each other and towards the locals. They were also asked whether they form ties and whether they plan to stay in Georgia or intend to go back and under which circumstances. The following three articles represent three different views and analysis of the collected data, from the individual perspective of each particular researcher.

Yulia Oreshina
Project Supervisor

რუსეთ-უკრაინის ომი: გამონვავები და შესაძლებლობები საქართველოსთვის

გიორგი გაზუნიშვილი

ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის დოქტორანტი

საკვანძო სიტყვები: რუსეთ-უკრაინის ომი, რუსი, უკრაინელი და ბელორუსი ახალჩამოსულები, საქართველო, რისკები და გამოწვევები.

კვლევითი პროცესის აღწერა

კვლევის პროცესში ჩვენმა გუნდმა იმოგზაურა თბილისსა და ბათუმში, სადაც თვისებრივი კვლევის ფარგლებში ჩაიწერა ათობით ინტერვიუ რუს, ბელორუს, უკრაინელ და ქართველ რესპონდენტებთან; გარდა ამისა, აქტიურად ვაკვირდებოდით ადგილობრივ და საერთაშორისო მედიასაშუალებებს, პოლიტიკურ თოქშოუებს და პოლიტიკოსთა გამოსვლებს, აქტიურად ვმონაწილეობდით სხვადასხვა დისკუსიასა და აკადემიურ ღონისძიებებში. ასევე მოხერხდა ორი ექსპერტ ინტერვიუს ჩაწერა ეკონომიკისა და უსაფრთხოების საკითხებზე.

სტატია შეეხება რუსეთ უკრაინის ომის ზეგავლენას საქართველოს სამინაო და საგარეო ცხოვრებაზე, მიგრაციის შედეგებსა და მის მნიშვნელობას, იმ გამოწვევებსა და შესაძლებლობებს, რაც ამ პროცესებში ჩნდება.

რუსეთ უკრაინის სამხედრო დაპირისპირება

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის ფედერაციამ გამოაცხადა სპეციალური ოპერაციის დაწყების შესახებ და შეიჭრა უკრაინაში, რასაც წინ უძღოდა რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის ვიდეომიმართვა; ამ გამოსვლაში მან დაასახელა, ახსნა და განმარტა ის მიზეზები, რომელთა საფუძველზეც იწყებოდა აღნიშნული სპეცოპერაცია. უფრო ადრე, რამდენიმე თვის განმავლობაში განსაკუთრებით დაიძაბა ორ ქვეყანას შორის დიპლომატიური ურთიერთობები, თუმცა კრემლის მიერ განსაკუთრებულ საფრთხედ უკრაინის ნატოში გაწევრიანების პერსპექტივა აღიქმებოდა. რუსეთის პოლიტიკური ლიდერები ამბობდნენ, რომ დასავლეთში უკრაინის ნატოში გაწევრიანება უკვე გადაწყვეტილი იყო; გარდა ამისა, უკრაინის დენაციფიკაციასა და რუსი ერის ჩაგვრისგან განთავისუფლების მიზნებზეც იყო საუბარი. სწორედ 2022 წლის თებერვლის ეს ტრაგიკული დასაწყისი აღმოჩნდა მილიონობით უკრაინელის, ასობით ათასი რუსი და ბელორუსი მოქალაქეების მიგრაციის დაწყების მთავარი მიზეზი.

მიგრანტთა ტალღა

ომის დაწყების ფაზა ელვისებური სისწრაფით მიმდინარეობდა, რა დროსაც რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა მიადრწეს უკრაინის დედაქალაქ კიევამდე და უშუალო ხელჩართული ბრძოლებიც კი გაიმართა, ომის დაწყებიდან მალევე მილიონობით¹ ომს გამოქცეული ლტოლვილი მიაწყდა ევროპის ქვეყნებს, მათ შორის საქართველოსაც. საქართველოში უკრაინელი ახალჩამოსულების დასახმარებლად შეიქმნა პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ცენტრები, რომელთაც პასუხისმგებლობა აიღეს უკრაინელი ახალჩამოსულების დახმარებაზე. ყველაზე მსხვილი ქალაქები, სადაც უკრაინელ-

¹ Operational data portal Ukraine refugee situation – <https://data.unhcr.org/en/situations/ukraine>

ბის მაღალი კონცენტრაციაა, არის თბილისი და ბათუმი. ორივე ქალაქში მათი პრობლემები და საჭიროებები განსხვავდება, იგივე შეიძლება ითქვას რუს ახალჩამოსულებზეც, ტერმინმა „ახალჩამოსულებმა“ რომ არ დაგვაბნოს, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთ-უკრაინის სამხედრო დაპირისპირების შემდგომ საქართველოში ახლად ჩამოსული, ომსგამოქცეული უკრაინის მოქალაქეები უარს ამბობენ ლტოლვილის სტატუსის მიღებაზე, ამას ხსნიან რამდენიმე მიზეზით, რომელთაგან ერთი ისაა, რომ ისინი ელოდებიან, რომ სულ მალე ომი უკრაინის სასარგებლოდ დასრულდება და უკან დაბრუნდებიან; ეს იმედიანობა განპირობებულია ბოლო დროს უკრაინის სამხედრო ძალების მიერ ზოგიერთი დიდი ქალაქის დაბრუნებით; ხშირია მსგავსი კომენტარები — „უკრაინა მალე გაიმარჯვებს და სახლში დავბრუნდებით“. უამრავი უკრაინელი თითქმის ერთსა და იმავე კომენტარს აკეთებს ინტერვიუს დროს იმ კითხვაზე, თუ რა გეგმები აქვთ და აპირებენ თუ არა საქართველოში დარჩენას? მათი პასუხია: „ჩემი ქალაქი ხერსონი რომ განთავისუფლდება, მე იქ დავბრუნდები.“ მათ ვერ წარმოუდგენიათ უკრაინის დამარცხება და, შესაბამისად, მათი უმეტესობა უკრაინაში დაბრუნებას გეგმავს.

რაც შეეხება რუს ახალჩამოსულებს, მათი მიგრაციის პროცესი შეიძლება დავყოთ ორ ტალღად: „პირველ ტალღას ეკუთვნის იმ ეკონომიკური ფენის წარმომადგენლები, ვისაც დასავლური ეკონომიკური სანქციები აშინებდათ და თავის არიდება უნდოდათ, ასევე, ვინაც მოასწრო და საკუთარი დანაზოგები გამოიტანა ბანკებიდან“ — ამბობს კონფლიქტოლოგი გიორგი გობრონიძე. ამ მოვლენას რადიკალურ შეფასებას ვერ აძლევს ეკონომისტი ტატო ხუნდაძე, რომელიც ამბობს, რომ „რუსეთის ფედერაციიდან 450000 ადამიანი შემოვიდა, ხოლო მათგან დაახლოებით 50000 დარჩა;“² ხოლო მათი ზეგავლენა ისეთ სფეროებზე, როგორცაა ბინებსა და პროდუქტებზე ფასის ზრდა, უფრო სხვა განმაპირობებელ ფაქტორებს უკავშირდება. განსაკუთრებით ბინების გაქირავებაზე ფასების ზრდა და შედეგად ქართველი სტუდენტების გაუარესებული ცხოვრება იმის ბრალია, რომ სახელმწიფოს შესაბამისი საბინაო პოლიტიკა არ გააჩნია. ტატო ხუნდაძე: „უნივერსიტეტებმა და განათლების სამინისტრომ უნდა შექმნან სტუდენტური საცხოვრებლები“ რითაც ეს პრობლემა მოგვარდებოდა. შესაბამისად, ახალჩამოსულების მიერ შიდა ეკონომიკურ სიტუაციაზე ზეგავლენა გაცილებით მინიმალური იქნებოდა. აქედან გამომდინარე, რეგულაციების გამკაცრებას ან შემოღებას ალტერნატივა არა აქვს მიგრაციის მართვის პოლიტიკაში.

მიგრაციის შედეგები და ზეგავლენა ქართულ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე

რუსებისა და უკრაინელების მასობრივ ჩამოსვლამდე ქართული საზოგადოება ეკონომიკური და სოციალური პრობლემების წინაშე იდგა, ფასების ზრდა, შემოსავლების კლება, უმუშევრობა და ქვეყნიდან მოსახლეობის მასობრივი გადინება საქართველოსთვის ჯერ კიდევ ძალიან დიდ გამოწვევად რჩება, ახლა, როცა თითქოს ამ რთულ გეოპოლიტიკურ პერიოდში ქართული ეკონომიკა გამოცოცხლდა და ფიქსირდება საკმაოდ დადებითი ეკონომიკური ზრდის მაგალითები, ფინანსურად ძლიერი რუსების ჩამოსვლის შემდეგ სურათი თბილისსა და ბათუმში შეიცვალა, განსაკუთრებით ბინების გაქირავების ბიზნესში, სადაც ფასები რამდენჯერმე გაიზარდა³, ფასები ასევე გაიზარდა ყველა სფეროში რაც ისევ და ისევ ყველაზე მტკივნეულად ქართველ მოქალაქეებზე აისახა. გარდა ამისა, როგორც კონფლიქტოლოგი გიორგი გობრონიძე ამბობს, „ქართველებსა და რუსებს შორის არასოდეს იყო ეთნიკური მიზლის და დაპირისპირების ის დონე, როგორც ახლა შეიძლება განვითარდეს,“ რადგან ურბანულ ცენტრებში კონცენტრირებულმა რუსებმა და ბელარუსებმა შექმნეს საკუთარი ჩაკეტილი საზოგადოებები და მათში მოხვედრა ძნელია. მაგალითად, კვლევის პროცესში ბათუმში არსებულ სიტუაციას გავეცნოთ, ინტერვიუებისა და საუბრებისთვის ვნიშნავდით შეხვედრებს კაფეებსა და ბარებში, ვრეკავდით რუსულ კაფეებში და ვკითხულობდით, იყო თუ არა თავისუფალი ადგილი, ისინი ხშირად მოითხოვდნენ — პირველ რიგში, გველაპარაკა რუსულად, რადგან მათ ქართული ენა არ ესმოდათ და შემდეგ, რომ ადგილები არ ჰქონდათ, ხოლო როდესაც ჩვენი კოლეგა უაქცენტოდ იწყებდა მათთან რუსულად ლაპარაკს, მაშინვე აღმოჩნდებოდა ხოლმე იმავე რესტორანში იმავე წუთს თავისუფალი ადგილი. გარდა იმისა, რომ ამ სახის ბიზნესი არღვევს ქართულ კანონმდებლობას, რომლის თანახმადაც ისინი ვალდებული არიან კლიენტებს ქართულად მოემსახურონ, შესაძლოა, სწორედ ეს არამეგობრული დამოკიდებულება ხდება იმ ეთნიკური კონფლიქტისა და მიზლის ჩამოყალიბების საფუძველი, რომელზეც კონფლიქტოლოგი გიორგი გობრონიძე საუბრობს.

² თორნიკე მარანდია, ჯენტრიფიკაცია? — რას ცვლის მიგრანტების ნაკადი რუსეთიდან, რადიო თავისუფლება, 11 აგვისტო 2022

<https://www.radiotavisupleba.ge/a/31984099.html>

³ აგვისტოში თბილისში ბინის ქირა 79%-ით გაძვირდა — TBC Capital 16 სექ 2022 15:23

<https://businessformula.ge/News/10513>

ახალჩამოსულების გეგმები

კვლევის პროცესში ჩვენი მთავარი კითხვა რესპონდენტების მიმართ იყო, თუ რა გეგმები აქვთ მათ რუსეთ-უკრაინის ომის დასრულების შემდეგ?! მათი უმეტესობა სწრაფად არ პასუხობდა ამ კითხვას და იწყებდნენ საკუთარი ისტორიის მოყოლას, 42 წლის ლუდმილა მარიუპოლიდან გვიყვება, რომ ისინი სპეციალური გადამყვანის საშუალებით მოხვდნენ საქართველოში და რომ ისინი კარგად გრძნობენ თავს აქ, მთავარი პრობლემა, რაც მას და მის ოჯახს აწუხებს, ესაა ფინანსური პრობლემა „თბილისში საბავშვო ბავშვთა უფასო უკრაინელი ბავშვებისთვის, აქ (გულისხმობს ბათუმს) კი ფასიანია და არის ძვირი.“ ლუდმილა საუბრობს, რომ არა ჰუმანიტარული შტაბი, რომელიც ადგილობრივი პოლიტიკური პარტიის ბაზაზე გაიხსნა, მათთვის ცხოვრება გაცილებით ძნელი იქნებოდა.

ანა (27 წლის) დონეცკიდან ასევე გვიყვება, რომ ფინანსური დახმარება საკმარისი არ არის, რადგან საკმაოდ ბევრი მედიკამენტის ყიდვა სჭირდებათ, მისი მთავარი პრობლემა არის საბავშვო ბავშვის სიძვირეც: „თბილისში უფასო საბავშვო ბავშვი, აქ კიდევ საკმაოდ ძვირს ითხოვენ, დიდი მადლობა საქართველოს მთავრობას იმ ფინანსური დახმარებისთვის, რასაც გვაძლევენ, მაგრამ საკმარისი არ არის.“ ასევე, როგორც აღმოჩნდა, იმ ფინანსური პრობლემების შედეგები, რომელზეც ზემოთ ვსაუბრობ, მხოლოდ ქართველებს კი არა, უკრაინელებსაც შეეხოთ; მაგალითად როგორც ადგილობრივი ჰუმანიტარული შტაბის დირექტორი ზიმლარ ბერიძე ამბობს, მან „ბათუმში უკვე დააფიქსირა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც ბინის გამქირავებელმა უკრაინელი ლტოლვილი გამოავლო ოთახიდან და რუსს მიაქირავა“. კვლევის პროცესში გავარკვეეთ, დაახლოებით რა თანხას იხდიან დაბალი შემოსავლის მქონე რუსები ბათუმის ცენტრის ბინებში, ეს თანხა მერყეობს 700 აშშ დოლარიდან 1000 აშშ დოლარამდე. ისინი მუშაობენ ონლაინ და შემოსავლის წყაროც სწორედ ესაა, გარდა ამისა, მათ მცირე ბიზნესები აქვთ გახსნილი, ხშირია შერეული ბიზნესებიც, მაგ., ბელარუსული და რუსული კაფე-ბარები, ხშირად მინახავს ასევე უკრაინულ-რუსულიც, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ მიუხედავად რუსეთ-უკრაინის სამხედრო დაპირისპირებისა, საქართველოში არ დაფიქსირებულა რაიმე სახის დაპირისპირება მათ შორის, როგორც აღვნიშნე, მათ საერთო ბიზნესებიც კი აქვთ, ერთ-ერთი რესპონდენტი 34 წლის ანა იხსენებს, რომ „მაღაზიაში რუსები საუბრობდნენ ომზე და, როდესაც მან უკრაინულად დაილაპარაკა, რუსები მაშინვე გაჩუმდნენ.“ ამბობს, რომ მათ შორის კონფლიქტი არ ყოფილა, თუმცა როდესაც რაიმე კომენტარს იგებს რუსებისგან, ის ყოველთვის პასუხობს და რუსები ჩუმდებიან. შეიძლება ეს რუსი ახალჩამოსულებისთვის დამახასიათებელი მიდგომაა, როდესაც რუს რესპონდენტებს ვესაუბრებოდით, მათთვის დამახასიათებელი იყო მორიდებული და ჩუმი საუბარი, თითქოს უფრთხოდნენ ხმამაღალ საუბარს, ეს როგორც რუსეთ-უკრაინის მიმდინარე კონფლიქტს ისე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებსაც ეხება, რადგან იციან რომ ქართველების უმეტესობა რუსეთს ოკუპანტად მიიჩნევს. 34 წლის ევგენი ამბობს, რომ პოლიტიკა ნაკლებად აინტერესებს, „ვცდილობ, მშვიდი საცხოვრებელი გარემო შევქმნა, ძალიან მალე ვაპირებ ჩემი მეუღლის აქ ჩამოყვანას, რადგან აქ გაცილებით მშვიდი გარემოა“.

ქართველები, ახალჩამოსულები და გამონწვევები

ახალჩამოსულების და ქართველი ადგილობრივი მაცხოვრებლების ურთიერთობები კვლევის პროცესის განსაკუთრებით საინტერესო მომენტი იყო, ქართულ-უკრაინული და ქართულ-რუსული დამოკიდებულება ცალსახად განსხვავდება ერთმანეთისგან. უკრაინელებთან განსაკუთრებით ქართველები ოჯახური მზრუნველობით გამოირჩევიან, ზიმლარ ბერიძე, რომელიც უკრაინელების დახმარების ადგილობრივ ჰუმანიტარულ შტაბს ხელმძღვანელობს, გვეუბნება: „ძალიან ბევრჯერ სახლიდან მოგვიტანია მათთვის საკვები, სხვადასხვა ნივთები, მათ პრობლემებზე მათთან ერთად ვტირით და მათ შვილებს, როდესაც ვასწავლით, საკუთარი შვილებივით ვექცევით.“ უნდა ითქვას, რომ უკრაინელი ომს გამოქცეული მოქალაქეების დასახმარებლად სხვადასხვა პარტიებმა შექმნეს შტაბები, სადაც მოწყობილია ფსიქოლოგიური დახმარების ცენტრი, საბავშვო ბავშვები და სხვა დანიშნულების სერვისები, რაც პოზიტიურ ზეგავლენას ახდენს უკრაინელ ახალჩამოსულებზე. რაც შეეხება სახელმწიფოს მიმართ უკრაინელების დამოკიდებულებას, ინტერვიუების უდიდეს ნაწილში მადლიერებას გამოხატავენ, მხოლოდ ის სათხოვარი აქვთ, რომელიც ძირითადად ბავშვთა განათლებას ეხება, აღმოჩნდა, რომ უკრაინელი ბავშვებისთვის ხელმისაწვდომი არ არის წიგნები მათ ენაზე, და მათ შორის, რუსულადაც, რომლებსაც დაჟინებით მოითხოვენ.

რუსებთან ურთიერთობის ნაწილში ქართველი მოქალაქეები საკუთარ პრობლემებს რუსებს უკავშირებენ, მაგალითად, თბილისში 24 წლის სტუდენტი ამბობს რომ „ორწლიანი სწავლის შემდეგ ვეღარ ახერხებს განათლების მიღებას თბილისში რადგან მისი ბინის მეპატრონემ ბინა რუსეთის მოქალაქეს მიაქირავა“; თბილისის მაცხოვრებლები აღნიშნავენ, რომ იმდენი რუსეთის მოქალაქე შემოვიდა თბილისში საცხოვრებლად, რომ საცობები, ფასების ზრდა და უმუშევრობის პრობლემა გაიზარდა. თუმცა რეალური სტატისტიკა ასე რადიკალურად არ გამოიყურება. ა ეკონომისტი ტატო ხუნდაძე

რუსების მიერ ეკონომიკურ ფაქტორებზე შექმნილ საზოგადოებრივ აზრს გადაჭარბებულ შეფასებად განიხილავს და ამბობს, რომ საკითხი კომპლექსურია, და მათგან საქართველოს რეალური ბენეფიტების მიღებაც შეუძლია. რუსეთიდან შემოსული მოქალაქეების აღრიცხვა და მათი შესაძლებლობების გარკვევა ნამდვილად საჭირო და აუცილებელია, რადგან, როგორც ექსპერტები ამბობენ, საქართველოში, საკუთარი მოსახლეობის მასობრივი გადინების ფონზე, აიტი და სხვა მაღალტექნოლოგიურ სფეროებში დასაქმების მაღალი მოთხოვნაა; ასე რომ, ათასობით კვალიფიციური რუსი დასაქმებული ნამდვილად წაეხმარებოდა მაღალტექნოლოგიური დასაქმების სფეროს.

რისკები

როგორც კონფლიქტოლოგი გიორგი გობრონიძე აღნიშნავს, რისკები საკმაოდ ფართო სპექტრისაა: „მასობრივად შემოსულ მიგრანტებს თავიანთი სოციალური ცხოვრების ჩვევებიც გადმოაქვთ ადგილსამყოფელ ქვეყანაში, რაც შეიძლება საფრთხე იყოს“ თუ გავითვალისწინებთ, რომ რუსეთი მსოფლიოში კორუფციის მაღალი დონით გამოირჩევა, ჩნდება მოთხოვნა კორუფციის, მაგალითად რუსი ახალჩამოსულების ტელეგრამ-არხებზე ხშირად დაისმის კითხვა, „სად შეიძლება ვიყიდო მართვის მოწმობა, სად შეიძლება ვიყიდო ბინადრობის უფლება საქართველოში“ (გიორგი გობრონიძე) და ა.შ. გარდა ამისა, სახელმწიფომ ყოველთვის უნდა აიღოს პასუხისმგებლობა მოქალაქეებზე; იმ მოცემულობაში, როდესაც საქართველოს მოქალაქეები თვითონ გარბიან ქვეყნიდან, რადგან სახელმწიფოს არ შეუძლია მათზე შესაბამისი პასუხისმგებლობის აღება, რამდენად მოახერხებს ის რუსების, უკრაინელებისა და ბელარუსი მოქალაქეების საცხოვრებელი პირობების უზრუნველყოფას?!

კვლევის პროცესში აქტიურად ვაკვირდებოდით ქართულ მედიას, სადაც ძალიან ხშირად იყო საუბარი საქართველოს სახელმწიფოებრიობისათვის საშიშ გამოწვევებზე; პოლიტიკოსთა ნაწილი, რომელიც ქართული რადიკალური ოპოზიციის მხარეს წარმოადგენს საქართველოს მთავრობას უწუნებენ უკრაინისათვის დახმარების გაწევს ხარისხს, ისინი ხშირად მოითხოვენ ისეთი რადიკალური ზომების გატარებას, როგორებიცაა უკრაინისთვის ლეტალური იარაღის გადაცემის საკითხი, იყვნენ ისეთებიც, რომლებიც რუსეთ-უკრაინის ომს განიხილავდნენ როგორც შესაძლებლობას აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების უკან დაბრუნების საქმეში და პირდაპირ მოითხოვდნენ სამხედრო ჩარევას, იყო მოწოდებები უკრაინის მაღალჩინოსნების მხრიდანაც, მაგალითად, უკრაინის პრემიერდენტის ოფისის ხელმძღვანელის ყოფილი მრჩევლის მხრიდან.

ოლექსი არესტოვიჩი: „საქართველოს აქვს ისტორიული შანსი უკან დაიბრუნოს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი“⁴. საქართველოს მთავრობა რუსეთის წინააღმდეგ დასავლურ ეკონომიკურ სანქციებს არ უერთდება, რასაც ქართველი პოლიტიკოსები იმით ხსნიან, რომ სანქციები არ მუშაობს, და რომ მიერთების შემთხვევაში საქართველოს უფრო მეტი დაუშავდება, ვიდრე რუსეთის ფედერაციას, სწორედ ეს პრავმატული მიდგომაა საქართველოში პოლიტიკოსების ამ საკითხზე დაპირისპირების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი.

როგორც ეკონომისტი ტატო ხუნდაძე აღნიშნავს, „ეკონომიკის პრობლემის მიზეზი მხოლოდ ის არაა, რომ რუსები შემოვიდნენ და სხვა არაფერი, როგორც წესი, ქართული ეკონომიკა ხშირად მერყეობს და დამოკიდებულია სხვა და სხვა ქვეყნებიდან ტურისტების შემოდინების პროცესებზე.“ შესაბამისად, ექსპერტებისა და ჩვენი დაკვირვების საფუძველზე საქართველოზე ზეგავლენა ასე მწვავედ იმითომ ჩანს, რომ სახელმწიფო რეგულაციებს არ ამკაცრებს და მიგრაციის ჩამოყალიბებული მართვის პოლიტიკა არ გააჩნია. მთელ რიგ შემთხვევებში სახელმწიფო არც კი ერევა და ვერც ხედავს საფრთხეს, როგორც ეს რუსებისა და უკრაინელების მიერ შექმნილ მიკროკულტურულ სივრცეში შეიძლება იმალებოდეს. გიორგი გობრონიძე: „უკრაინელები და რუსები უკვე ფლობენ საერთო ბიზნესებს.“ შესაბამისად, აქ მათი დაპირისპირების ხარისხი დაბალია, თუმცა საქმე მაინც სხვა ეკონომიკურ საფრთხეებს ეხება, რაც მკვიდრი ქართველი მუშახელის რუსი, ბელარუსი და უკრაინელი მუშახელით ჩანაცვლებას უკავშირდება, რაც ჩვენი კვლევებით დადასტურდა კიდევ.

შესაძლებლობები

სულ რამდენიმე კვირის წინ საფუძველი ჩაეყარა შავი ზღვის წყალქვეშა კაბელის⁵ პროექტს, რომელიც მთლიანად საქართველოს პროექტი და იდეაა საქართველოს შესაძლებლობას უქმნის, იყოს ენერჯის მნიშვნელოვანი გამტარი

⁴ ჯენი კვანტალიანი, არესტოვიჩი საქართველოს კვლავ ომისკენ მოუწოდებს, მაუწყებლობა, 27 აპრილი, 2022

<https://ajaratv.ge/article/95629>

⁵ თორნიკე მარანდია, მსოფლიოს უგრძესი კაბელი შავ ზღვაში: რას ცვლის ეს საქართველოსთვის? რადიო თავისუფლება, დეკემბერი 24, 2022 <https://www.radiotavisupleba.ge/a/>

ევროპაში სწორედ იმ დროს, როდესაც რუსეთი ენერჯის სტაბილური და სანდო მიმწოდებელი აღარ არის, ამიტომ ჩვენი გაზრდილი პოლიტიკური და მატერიალური ღირებულებით შესაძლებლობა გვინდება მოლაპარაკებების დროს უფრო მეტი ბენეფიტები მივიღოთ. როგორც სოციალურ მედიაზე დაკვირვებამ ცხადყო, მოქალაქეები და აკადემიური სფეროს წარმომადგენლები შექმნილ გეოპოლიტიკურ ვითარებას განსკუთრებულ ყურადღებას უთმობენ და ნეიტრალიტეტის და პრაგმატული პოლიტიკის მომხრეთა რიცხვი იზრდება, რაც გასაკვირია, რადგან დღემდე ქართული პოლიტიკა რადიკალიზმის და მიკედლების პოლიტიკის გარეშე თითქმის შეუძლებელი ჩანდა, ახლა კი გაჩნდა დაბალანსებისა და დიპლომატიური ლავირების პოლიტიკის საჭიროება, რამაც უფრო მეტი სიკეთე უნდა მოუტანოს საქართველოს. მიგრაციის პროცესების შემდეგ საქართველოში უამრავი დარგის სპეციალისტი აღმოჩნდა; როგორც ეკონომისტი ტატო ხუნდაძე აღნიშნავს, “რუსეთი საკმაოდ წინ არის მაღალ ტექნოლოგიებში და გაცილებით ბევრი გამოცდილი სპეციალისტი ჰყავს”. მიგრაციის შედეგად საქართველოში უამრავი კვალიფიციური პირი შემოვიდა, რისი გამოყენებაც საქართველოს ეკონომიკისათვის კარგი იქნებოდა. ასევე ტატო ხუნდაძე გვთავაზობს სტატისტიკას, სადაც ნათლადაა აღნიშნული, თუ რა სფეროების სპეციალისტები⁶ შემოდიან საქართველოში.

კვლევის შედეგების დასკვნითი ნაწილი

საველე კვლევების დასრულების, ათობით ინტერვიუს მოსმენისა და ბოლოს დისკუსია-პანელების დასრულების შემდეგ გამოიკვეთა ტენდენცია, რომ ის რისკები, რომლებიც ქართულ რადიკალურ მედიასაშუალებებში ტირაჟირდება, გადადაჭარბებულადაა შეფასებული, ეკონომიკური გავლენები თუ სოციალურ-კულტურული ურთიერთობების პრობლემები შეიძლება დროებითი იყოს, რადგან მიგრაციის ეს უჩვეულოდ ინტენსიური პროცესი, რომელიც ბოლო ერთი წლის განმავლობაში საქართველოში მიმდინარეობს, დროებითია. როგორც უკრაინელი, ისე რუსი და ბელორუსი ახალჩამოსულები ინტერვიუებში ერთხმად ამბობენ, რომ მათი მთავარი სურვილია სახლში დაბრუნება; უკრაინელების შემთხვევაში, დაბრუნების პირობა იქნება ომის დასრულება და უკრაინის გამარჯვება, რუსებისათვის — ზოგ შემთხვევაში — რეჟიმის ცვლილება, და უმრავლეს შემთხვევაში, ასევე ომის დასრულებაა განმსაზღვრელი ფაქტორი, რათა თავიდან აიცილონ სამხედრო სამსახური, ხოლო ბელარუსი ახალჩამოსულებისთვის მიზეზი გაცილებით ადრინდელია და ლუკაშენკოს მთავრობის პრობლემებს და რეჟიმის ცვლილების ფაქტორს უკავშირდება. ასევე ყველა ეკონომიკური ან სოციალურ-კულტურული ზეგავლენა, მიუხედავად იმისა, დროებითია თუ ხანგრძლივი, საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკაზე ზემოქმედებს და სხვადასხვა მთავარ საგარეო პოლიტიკურ მიზნებს აზუსტებს, ნელ-ნელა ქართული პოლიტიკური და საზოგადოებრივი სივრცე ხვდება, რომ პროდასავლური და პრორუსული კურსი საქართველოს ბედნიერების განმსაზღვრელი ვერ იქნება და, შესაბამისად, იკვეთება პრაგმატული საგარეო და საშინაო პოლიტიკის კონტურები.

კვლევის საბოლოო შედეგები ცხადყოფს, რომ საკმაოდ საინტერესო გამოწვევებითა და შესაძლებლობებით საველე პერიოდში გვიწევს ცხოვრება.

⁶ რა შემოსავალი აქვთ და რას საქმიანობენ რუსები საქართველოში? — სოციოლოგიური კვლევა, ბიზნეს მედია ჯორჯია, 28 ოქტომბერი 2022 <https://bm.ge/ka/article/ra-shemosavali-aqvt-da-ras-saqmianoben-rusebi-saqartveloshi---sociologiuri-kvleva-/119494>

RUSSIAN UKRAINIAN WAR, CHALLENGES, AND POSSIBILITIES FOR GEORGIA

(Extensive Summary)

GIORGI ZAZUNISHVILI

PHD researcher, Georgian American University

Keywords: *Russia-Ukraine war, Russian, Ukrainian and Belarusian newcomers, Georgia, risks and challenges.*

At the beginning of the article, Russian Ukrainian war is discussed as the main geopolitical event – on February 24, 2022, the Russian Federation announced the launch of a special operation and invaded Ukraine, which was preceded by a video address by Russian President Vladimir Putin, where he explained the various reasons for launching the special operation. Diplomatic relations between the two countries had been particularly tense for several months, since the prospect of Ukraine joining NATO was perceived as a special threat to the Kremlin. The political leaders of Russia said that Ukraine’s accession to NATO had already been decided in the West, and they also talked about the goals of the denazification of Ukraine and liberation of the Russian nation from oppression. This tragic beginning of February 2022 turned out to be the main reason for the migration of millions of Ukrainians and hundreds of thousands of Russian and Belarusian citizens.

The present article contains the information about the research team’s trips and interviews, where the author of the article tries to explain the team’s qualitative research results. During the research process, we focused on the needs and problems of Ukrainian and Russian newcomers. During the interviews, they were telling their stories about their arrival, about the purpose of arrival, what they were planning to do, what and from where they received income, etc. All accumulated information was filtered and analyzed by the research team. The author conducted a series of expert interviews which were helpful in creating a database for the article. The article is focused on two main topics, the challenges and possibilities of Georgia, and the Newcomer’s influence on social, economic, and political life.

The article offers possible expert views on how to solve problems. Also in Georgia, there was hysteria about Russian economic influence on Georgia after newcomers’ arrival, as prices increased and salaries remained the same. Finally, based on official statistics, the author concluded that these hysterias were over-rated, and this crisis will change as soon as Russian-Ukrainian war is finished because all newcomers are planning to return to their homes.

In the case of Ukrainians, they are waiting for Ukraine’s victory in this war, and the majority of Russians are saying that they are also waiting for the end of the war but they are not sure if they will return under the same government of Russia.

RISKS

As conflictologist, Giorgi Gobronidze points out, the risks are of a wide range, “massively arriving migrants also bring the habits of their social life to the host country, which can be a danger.” If we take into account that Russia is characterized by a high level of corruption, there is an inclination toward corruption, for example, on the telegram channels of Russian newcomers, Giorgi Gobronidze often asked the question, “Where can I buy a driver’s license, where can I buy the right to reside in Georgia?” etc. In addition, the state should always take responsibility for the citizens. However, the citizens of Georgia are fleeing the country because the state cannot take appropriate responsibility for them. During the research process, we actively monitored the Georgian media, where very often there was a talk about dangerous challenges for Georgian statehood, radical private media often demands radical measures, such as the transfer of lethal

weapons to Ukraine, and there were those who considered the Russian-Ukrainian war as an opportunity to return Abkhazia and Tskhinvali regions and directly demanded military intervention, as well as requests from high-ranking officials of Ukraine, for example, the former adviser to the head of the office of the President of Ukraine, Oleksi Arestovich “Georgia has a historic chance to take back Abkhazia and South Ossetia”. The government of Georgia does not join Western economic sanctions against Russia, which Georgian politicians explain by saying that the sanctions do not work and that in case of joining, Georgia will suffer more than the Russian Federation.

POSSIBILITIES

Just a few weeks ago, the foundation was laid for the Black Sea submarine cable project, which became the project of Georgia, and the idea is to enable Georgia to be an important conduit of energy in Europe at a time when Russia is no longer a stable and reliable supplier of energy. Therefore, Georgia will receive the benefits. After observing the social media, we concluded that the citizens and representatives of the academic field are paying close attention to the created geopolitical situation, and the number of supporters of neutrality and pragmatic politics is increasing, which is surprising because Georgian politics was almost impossible without radicalism and the politics of the walls. Presently, there is a need for balancing and diplomatic maneuvering policy, which should bring more benefits to Georgia. After the migration processes, a lot of specialists in the field appeared in Georgia, as economist Tato Khundadze notes, “Russia is quite ahead in high technologies and has many experienced specialists.” After the migration, a lot of qualified people came to Georgia, which would be good for the economy of Georgia. Tato Khundadze also provides us with statistics where it is clearly stated which field specialists are coming to Georgia.

AT THE END OF THE ARTICLE

After completing the field research, having listened to dozens of interviews, and finally after conducting the discussion panels, a tendency was revealed that the risks that are circulated in the Georgian radical media are overestimated. Economic influences or the problems of socio-cultural relations can be temporary, but changes in Georgian politics are much deeper and more influential. The final results of the research reveal that we are living in a period full of interesting challenges and opportunities.

MIGRATION AND SPACE: ANTHROPOLOGICAL REFLECTION ON GEORGIA'S CHANGING FACE IN THE SHADOW OF WAR IN UKRAINE

YULIA ORESHINA

Associate professor, Georgian American University

For a migrant, the notions of space and time change their meanings. It is not the same as before anymore. The situation of migration creates division of space and time in the migrant's mind. There is no just "here and now" anymore. Both space and time become split. There is more than just one time and just one space. The moment of migration is the point of watershed, and the entire person's life becomes split to "before" and "after". This influences the perception of time and space, and especially acute division appears in the situation of forced migration. Time "before" acquires mythological features and becomes a nostalgic and happy past. Similarly, the space of the previous place of living, related to mythological nostalgic past, becomes the place of happiness and pleasant memories. The perception of the time and space's proportion changes too. What happened after the point of the flight is seen as a longer journey, and the new spaces of migration look larger in the newcomers' eyes.

The situation of space inversion which is often experienced by migrants is theorized by Cecil Helman (2007). According to Helman, in such a situation, which is highly probable during the first years of migration, the proportion of unfamiliar space that surrounds the migrant seems to be much greater than that of familiar one. The familiar space, the geography and landscapes of the home country, is embodied in memories, photographs and reminisces of "there" and becomes more important than the unfamiliar space of "here" (Helman 2007:322). The migrant, in a certain way, is rather still "living" within the previous "life space" than in the present environment (Parkes in Helman 2007:322).

As a result of Russia's military invasion in Ukraine started on 24 February 2022, millions of people were forced to leave their homes. Apart from the citizens of Ukraine escaping the war, Russian citizens disagreeing with the regime found themselves in the situation of forced migration. While the main wave of migration went towards Europe, Georgia – a country situated not so far from the conflict zone – became a temporary home for thousands of people coming from Russia and Ukraine. The majority of newcomers chose the capital, Tbilisi, and the coastal city, Batumi, for their temporary residence.

Who are these people? Why did they choose Georgia for their flight destination? How did they come here? What are their plans and feelings, problems and everyday life here? Do Ukrainian and Russian newcomers have any touch with each other? Do they plan to stay in Georgia? These and other questions were at the core of our research which we conducted among Russian and Ukrainian newcomers in Tbilisi and Batumi.

During field research we conducted a series of semi-structured in-depth interviews with Ukrainian and Russian newcomers in Georgia. Some of the questions varied based on the possibilities of interviewee's time and space of the interview. Similarly, the duration of interviews depended on interviewees' desire.

“I DIDN’T EXPECT TO SEE WHAT I SAW”

From the first days of war and the influx of Ukrainian people to Georgia, Georgian political parties created camps to aid Ukrainian people. They have been providing Ukrainians not only with material help but also psychological and educational services. As Zimlar Beridze (head of the Ukrainian Aid Center) said, “they all are now one family, I am always happy when Ukrainian kids are waving or calling me from different sides of the street”. This kind of family atmosphere creates quality attachments between Georgian and Ukrainian people. Also they are trying to gather all possible help to the front.

Locally based Ukrainians and Russian newcomers are also involved in initiatives aimed to help Ukrainian newcomers in Georgia. It is worth mentioning that the majority of Ukrainian newcomers came to Georgia through Russia, and these are mostly the people from occupied territories.

“I stayed in my home and tried to work online as long as it was possible, but when Ukrainian sim-cards stopped working and I already had no internet, I realized I had no other choice but to go, and I traveled through Russia to Georgia”, – says 25-year-old N. She is waiting for the possibility to go back as soon as the war is over. “It is not easy to find information here”, – she adds. “I have to inquire through acquaintances or groups of Ukrainian speakers whenever I need to deal with documents, to apply for something or to register”.

Smaller number of Ukrainian newcomers came from European countries by plane. Some of them chose Georgia because they had visited the country before, because they had relatives, connections or friends here. Some just believed that it could be a nice option. “I fled to Poland at first and I did research to understand where I should go so that I would get a job, I would get good conditions of life and I consciously chose Georgia and Batumi”, says 31-year-old K.

“This is my very first time here, and I did not expect to see what I saw. The city looked completely different in pictures. When I arrived here and realized that the reality is different, I lied down and cried for several days”, she adds.

K. is a professional massage therapist, and she hoped to find a job in one of Batumi’s hotels. However, she works as a bartender and as a cleaning lady.

The problem of finding a job is mentioned as the main difficulty for the Ukrainian newcomers, as they do not speak Georgian and often even nor English. Linguistic and cultural assimilation needs a long time and a lot of work and resources, especially given the fact that Georgia has limited resources of teaching Georgian to the foreigners.

Our research revealed that Ukrainian newcomers often have economic problems, and they are mostly asking the government for help, especially to take care of children’s education.

Due to economic problems in Georgia, and the country with high levels of poverty and unemployment among its own citizens, many Ukrainians are trying to leave Georgia to find better living conditions for themselves. Economist Tato Khundadze says: “Georgians themselves are running away from Georgia, so the same will do Russians and Ukrainians”. Furthermore, he suggested statistics in his presentation that out of 450,000 Russian newcomers to Georgia after 24 February 2022, merely 50,000 remained in the country⁷.

RE-CREATING THE KNOWN LANDSCAPE

Gupta and Ferguson (1997) observe that the lines between “here” and “there”, the place of current residence and the place of belonging, are often blurred for migrants. For displaced people, remembered places of their past play a role of symbolic anchors, and “homeland” remains one of the most influential unifying categories for them (Gupta and Ferguson 1997). Migrants, according to Gupta and Ferguson (1997), use memory of a place to construct their current reality and their “lived world” imaginatively.

The situation of migration invokes imagined geography where two worlds, the current one and the past one, are interconnected (Keith and Pile 1993:18). It is argued (Ganguly 1992, Revill 1993) that narratives of the pre-migration past and places play crucial roles in the migrants’ identity and help to establish a sense

⁷ Tornike Marandia, ვენტრიფიკაცია? – რას ცვლის მიგრანტების ნაკადი რუსეთიდან, Radio Tavisupleba, 11 august 2022 <https://www.radiotavisupleba.ge/a/31984099.html> Gentrification? – what migrant influx from Russia changes

of community within the group of migrants. For migrants, the present acquires its meaning only when it is supported by a reference from the pre-migration past (Ganguly 1992).

Papadopoulos (2002:15) underlines that forced migrants share a deep longing for their lost homes' restoration, and describes this longing with the word *nostalgia*. The absence of home creates a gap which forced migrants are trying to fill with the help of re-creation of certain features of their home (Papadopoulos 2002:16). According to Papadopoulos (2002:17), home is a key concept for a person's identity construction, together with such crucial elements as belonging to an existing country and to a given language group, to a particular geographical landscape, milieu and being accustomed to certain sounds, smells, tastes and architectural types. Identity is becoming deterritorialized in the contemporary world, and forced migrants experience this deterritorialization of identity the most (Gupta and Ferguson 1997).

Culturally specific activities, places and rituals are the elements of displaced people's attempts to reconstruct their home. The re-creation of micro-cultural worlds within the boundaries of a particular space structure, such as for example restaurants, shops, temples or ethnic enclaves within cities, as well as self-help or mutual support groups are strategies to maintain migrants' sense of identity and to reduce their feeling of cultural loss (Helman 2007). This way, culturally specific activities, places, self-help initiatives and rituals help forced migrants to re-create their places of belonging in their new country, to create and maintain a network of contacts and relationships with people of similar language and cultural background, and to keep in touch with their roots.

It is yet early to draw conclusions regarding the impact of Russian or Ukrainian newcomers to Tbilisi's or Batumi's urban landscapes. Nevertheless, the tendency to create self-help initiatives or culturally specific places is visible from the first days of their coming to the country.

Ukrainian newcomers established a number of self-help initiatives and united around Georgian NGOs helping them, as well as cultural institutions. This is especially important for those who came to Georgia with their kids, and performing free time activities with their peers in their mother tongue are of great importance for them.

Some created small local businesses, beauty salons, cafes, bars and restaurants. Interestingly, local Georgian restaurants started to try accommodating the needs of newcomers too. On the one hand, one can see a number of sign boards advertising "Ukrainian food like at home" in Batumi and Tbilisi. On the other hand, many local cafes which initially served European cuisine started to offer some traditional Georgian meals which are rarely consumed by Georgians in restaurants.

"What is this? Instead of steaks they suddenly started to offer just satsivi and chakhokhbili every day. Who eats satsivi [traditional Georgian Christmas meal] in summer? They adapted the menu of the cafe for Russian and Ukrainian newcomers who ask for such food!", – complains an employee of the Georgian American University about the cafe situated in the business center opposite.

"It's been less than a year since so many Russians started to come to Georgia and Armenia, but you can already notice Russian businesses here in Caucasus", says Y., a Russian-born Poland-based researcher visiting Tbilisi. "They just replicate what they are accustomed to from Moscow! You enter a cafe and you immediately know that it's a newcomer from Moscow who opened it".

It is worth noting that the newcomers from Russia created their own layer of Tbilisi's urban life, with a number of Russian NGOs being moved to Georgia and with discussions on human rights, queer issues, feminist agenda, anti-war movement and so on. Indeed, the process of recreating the known landscape, not only physical but also intellectual, by migrants is ongoing.

Another change that occurred in public spaces of the biggest Georgian cities is the visibility of the Russian-speaking population.

"What time is it?", asks me an elderly person in Batumi boulevard near the Old Port, where I am sitting with my daughter who is sleeping in her stroller. He speaks Russian with me. After a while he looks closer in the stroller and asks in Georgian whether I'm from Tbilisi. "There are so many Russian speakers in Batumi nowadays that I don't even start conversations in Georgian anymore while I'm in the boulevard", he continues. "It's not good. They are coming here, and Georgians are going abroad because of unemployment".

Indeed, Batumi Boulevard is full of Russian speakers – just as Tbilisi’s old town and major parks. It is an unusual occurrence during low tourist season. Batumi is a very good example of migration’s face in Georgia, as it is not easy to see or hear Georgian conversations in the streets of the city center. The locals usually start conversations with people whom they do not know in Russian, as they have got accustomed to the fact that the majority of people around them are Russian or Ukrainian.

MUTUAL CONTACTS

“When I spoke Russian to a friend of mine in the Tbilisi metro, people were making “Z” sign to us, I got surprised – perhaps they thought, if we speak Russian, we are Russians”, – said N., a young girl from the East of Ukraine. We met for a cup of tea at the East Point, one of Tbilisi’s shopping malls. N. lives nearby. She told me it is not her first flat in Tbilisi and she was supposed to change the place because the previous owner made the rent price much higher.

“There’s no point in looking for flats for rent on Georgian websites. You see the acceptable price, you call, you obviously speak Russian and then you get the answer – there’s no such a price for you (and you get a proposal twice more expensive)”, – she says. “This is perhaps the only thing that disturbs me in Georgia. Everyone tries to earn on you. I came to Georgia through Russia and on the way from Stepantsminda to Tbilisi we were asked to pay extra for no reason. When we said that we are refugees they answered us, well we also have a lot of refugees from Abkhazia and South Ossetia here”, – she added.

Russian newcomers encounter similar problems – not all of them can afford paying high prices for accommodation, even though statistically the majority of the Russian newcomers are employed in the IT sector.

Russian and Ukrainian newcomers do not usually have conflicts in Georgia. Furthermore, as conflictology specialist Giorgi Gobronidze says, “it’s very common to have Russian-Ukrainian business”, they collaborate and try to create small closed societies where just Russians or just Ukrainians are gathering. During our research trips, we had several cases when a Russian-speaking restaurant business had problems with our Georgian colleagues, because of language barrier, including the management and the personnel having no knowledge of Georgian. Such places, often opened by Russian or Ukrainian newcomers, serve mostly the local communities of Russian speakers, be they Ukrainians, Belarusians or Russians.

“I work as a bartender in a bar where mostly Russian speakers come”, – says a young Ukrainian girl who found a shelter in Batumi. “I have no other choice but to speak to Russians too. And you know, they are quite adequate people. They [those who came from Russia after the start of the war] don’t support this war and their government”.

We sat down with Yevgeniy in one of Batumi’s old cafes. “Oh, nice, they have filtered coffee! I haven’t been here yet”, says he. Yevgeniy came to Batumi from Russia in the beginning of October, when mobilization was announced. His future plans are unclear. “Why Batumi? It’s cheaper here, and I don’t need a visa”, he says. Yevgeniy considered leaving Russia back in spring in the very beginning of the military conflict, but the announcement of mobilization became for him the point of no return. He does not yet know what to do further, but he definitely knows that he cannot go back to Russia until the regime change.

The feeling of belonging to a certain culturally specific place is an important feature of a person’s self-identity construction (Papadopoulos 2002, Lengen and Kistemann 2012). Similarly, culturally specific traditions and rituals are crucial factors for constructing and maintaining self-identity, as they create a feeling of stability and rootedness (Papadopoulos 2002, Helman 2007). Just like space design and architecture, they are often being used for political purposes, and there are some reasons for it. Place has also been recognized as a crucial factor within the forced migration experience (Kaiser 2008, Sampson and Gifford 2009).

Due to cultural differences and language difficulties, those people often face problems with handling their health, social, economic and cultural needs in their new places of settlement. It is also clear that forced migrants often have no chance to prepare, neither psychologically nor practically, for their move, and they

often lack the opportunity to bring objects of material, spiritual and religious value with them. The situation of forced migration is often related to a separation not only from the usual network of contacts and friends, but also from the family. The forced migrants are often unable to continue their habitual way of life and even to pursue their profession in the new country. All this creates a situation of stress which can have a negative impact on the mental and physical health of migrants. The forced migration situation implies the loss of not only material possessions, property and inter-personal relationship networks, but also of the certain socio-cultural practices and social and physical landscapes they perceived as familiar and intimate, which constituted their notion of “home” (Kaiser 2008).

It is evident that the cultural needs of forced migrants are linked to their identity preservation and to maintaining their ties with the home language and culture. The social needs of migrants are the needs of communication, often in their native language, and of overcoming the social isolation which could be experienced in a foreign country, especially because forced migration usually happens without necessary preparations and the migrants often do not know the language of the host country. The economic needs of migrants are first of all the needs of housing and employment. The health needs of migrants are linked to their economic, cultural and social needs, since the lack of social life, of contacts with the home culture or economic problems could trigger mental and physical health problems.

Almost every interviewee who came to Georgia from Ukraine mentioned the problems related to their social or health needs. The majority of the newcomers are women with kids. They say it is especially important for them to make sure that their kids or grandchildren have enough possibilities to spend their free time after school or kindergarten. “I do not want the enemy to steal my grandkids’ childhood”, says one of them.

From most of the interviews conducted by us it became clear that all Ukrainian newcomers are keeping strong and have huge hopes that Ukraine will win over Russia, so that they plan to go back home. Regarding the community of newcomers from Russia, these people mostly do not see themselves going back until the regime changes.

References:

- Bettelheim, B. and Janowitz, M. (1964) *Social change and prejudice*. New York: Free Press of Glencoe.
- Cattell, V., Dines, N., Gesler, W., Curtis, S. (2008) Mingling, observing, and lingering: Everyday public spaces and their implications for well-being and social relations, *Health & Place*, 14 (2008), 544 – 561.
- Cohen, R. (1997) *Global Diasporas: an introduction*. London: Routledge.
- Crang, M. (2000) Public Space, Urban Space and Electronic Space: Would the Real City Please Stand Up? *Urban Studies*, Vol. 37, No. 2, 301 – 317.
- Dyck, I. and Dossa, P. (2007) Place, health and home: Gender and migration in the constitution of healthy space, *Health & Place* 13, (2007): 691 – 701.
- Fernando, S. (2002) *Mental Health, Race and Culture*. London: Palgrave.
- Fernando, S. (2009) Meanings and realities In Fernando, S. and Keating, F. (eds.) *Mental Health in a Multi-Ethnic Society*. London: Routledge.
- Fortier, A. (2000) *Migrant Belongings: Memory, Space, Identity*. Oxford: Berg.
- Ganguly, K. Migrant Identities: Personal Memory and the Construction of Selfhood, *Cultural Studies*, Volume 6, Issue 1 (1992): 27 – 50.
- Gesler, W. (1996) Lourdes: healing in a place of pilgrimage, *Health & Place*, Vol. 2, No. 2: 95 – 105.
- Gupta, A. and Ferguson, J. (1997) Beyond “Culture”: Space, Identity, and the Politics of Difference. In Gupta, A. and Ferguson, J. (eds.) *Culture, Power, Place: Explorations in Critical Anthropology*. Durham and London: Duke University Press.
- Helman, C. G. (2007) *Culture, Health and Illness*. London: Hodder Education Hirst, P. (2005) *Space and Power. Politics, War and Architecture*. Cambridge: Polity Press.

Kaiser, T. (2008) Social and Ritual Activity In and Out of Place: The “Negotiation of Locality” in a Sudanese Refugee Settlement *Mobilities* 3, no. 3 (2008): 375 – 395.

Keith, M. and Pile, S. (1993). The Politics of Place In Keith, M. and Pile, S. (eds.) *Place and the politics of identity*. London: Routledge.

Kleinman, A. (1980). *Patients and Healers in the Context of Culture: An Exploration of the Borderland between Anthropology, Medicine and Psychiatry*. Berkeley: University of California Press.

Kushner, T. and Knox, K. (2001) *Refugees in an Age of Genocide: global, national, and local perspectives during the twentieth century*. New York: Frank Cass.

Lengen C. and Kistemann T. (2012) Sense of place and place identity: Review of neuroscientific evidence, *Health & Place*, 18 (2012): 1162 – 1171.

Lindgren R. (1997) Semiosis, Ritualization and Lindgren R. and Knaak J. (eds.) *Magic In Ritual and Semiotics*. New York: Peter Lang.

Miller, W. L. and Crabtree B. F. (2005) Healing Landscapes: Patients, Relationships, and Creating Optimal Healing Places, *The Journal of Alternative and Complementary Medicine*, Volume 11, Supplement 1: 41 – 49.

Nazroo, J. Y. (2001) *Ethnicity, class and health*. London: Policy Studies Institute.

Oakes P. J., Haslam A. S. and Turner J. C. (1994) *Stereotyping and social reality*. Oxford, Cambridge, Mass.: Blackwell Publishers.

Papadopoulos, R. K. (2002) Refugees, home and trauma. In Papadopoulos R. K. (ed.) *Therapeutic Care for Refugees: No Place like Home*. London: Karnak.

Patel, N. (2009) Developing psychological services for refugee survivors of torture. In Fernando, S. and Keating, F. (eds.) *Mental Health in a Multi-Ethnic Society*. London: Routledge.

Pickering, M. (2001) *Stereotyping: the politics of representation*. Basingstoke; New York: Palgrave.

Rack, P. (1982) *Race, culture and mental disorder*. London, New York: Tavistock Publications.

Revoll, G. (1993) Reading Rosehill: Community, Identity and Inner-City Derby. In Keith, M. and Pile, S. (eds.) *Place and the politics of identity*. London: Routledge.

Sampson, R. and Gifford, S. M. (2009) Place-making, settlement and well-being: The therapeutic landscapes of recently arrived youth with refugee backgrounds, *Health & Place* 16 (2010): 116 – 131.

Wakefield, S. and McMullan, C. (2005) Healing in places of decline: (re) imagining everyday landscapes in Hamilton, Ontario, *Health & Place* 11 (2005): 299 – 312.

Zborowsky, T. and Kreitzer, M. J. (2009) People, Place, and Process: The Role of Place in Creating Optimal Healing Environments, *Creative Nursing*, Volume 15, Number 4: 186 – 190.

მიგრაცია და სივრცე: უკრაინის ომის ანთროპოლოგიური ასახვა საქართველოს ცვალებად რეალობაზე

(ვრცელი რეზიუმე)

იულია ორეშინა

ასოცირებული პროფესორი, ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი

მიგრანტისთვის სივრცისა და დროის ცნებები ცვლის მათ მნიშვნელობას. ის პირვანდელი სახით აღარ აღიქმება. მის ცნობიერებაში სივრცისა და დროის დაყოფა აქტიურად ხდება. აღარ არსებობს უბრალოდ „აქ და ახლა“. სივრცეც და დროც ერთმანეთს შორდება. არსებობს ერთზე მეტი დრო და მხოლოდ ერთი სივრცე. მიგრაციის მომენტი არის გამყოფი წერტილი ადამიანის ცხოვრებაში, რომელმაც ადამიანის ცხოვრება დაჰყო ორ განზომილებად „ადრე“ და „შემდეგ“. ეს გავლენას ახდენს დროისა და სივრცის აღქმაზე და განსაკუთრებით მწვავედ აღიქმება იძულებითი მიგრაციის პირობებში. დროითი განზომილება, რომელიც იყო „ადრე“ ერთგვარ მითოლოგიურ ხასიათს იძენს და ნოსტალგიურ და ბედნიერ წარსულად იქცევა. ანალოგიურად იცვლება დამოკიდებულება წინა საცხოვრებელი ადგილის მიმართ, ის ბედნიერებისა და სასიამოვნო მოგონებების ადგილი ხდება. იცვლება დროისა და სივრცის პროპორციის აღქმაც. ის, რაც ფრენის წერტილის შემდეგ მოხდა, უფრო გრძელ მოგზაურობად აღიქმება და მიგრაციის ახალი სივრცეები ახალმოსულთა თვალში უფრო დიდი ხნის განმავლობაში ხდება ანალიზის საგანი.

სივრცით ინვერსიას ხშირად განიცდიან მიგრანტები. ამ თეორიას სესილ ჰელმანი ასაბუთებს (2007). მისი თქმით, მსგავსი რამ, უმეტესად მიგრაციის პირველ წლებში იჩენს თავს. უცნობი სივრცის პროპორცია, რომელიც მიგრანტის გარშემოა, გაცილებით დიდია, ვიდრე ნაცნობი. ნაცნობი სივრცე, სამშობლოს გეოგრაფია და პეიზაჟები მოგონებებშია, ფოტოებსა და მეხსიერებაში. ეს უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ვიდრე ის უცნობი სივრცე, რომელიც „აქა“ (Helman 2007:322). მიგრანტი, გარკვეულწილად, ჯერ კიდევ იმ წინა „სიცოცხლის სივრცეში“ „ცხოვრობს“, იმაზე მეტად ვიდრე ახლანდელ გარემოში (Parkes in Helman 2007:322).

2022 წლის 24 თებერვალს უკრაინაში რუსეთის შეჭრის შედეგად მილიონობით ადამიანი იძულებული გახდა დაეტოვებინა საკუთარი სახლი. გარდა იმისა, რომ უკრაინის მოქალაქეები ომს გაექცნენ, იძულებითი მიგრაციის სიტუაციაში აღმოჩნდნენ რუსეთის ის მოქალაქეებიც, რომლებიც არ ეთანხმებიან რეჟიმს. მიგრაციის ძირითადი ტალღა ევროპისკენ წავიდა. საქართველო, რომელიც კონფლიქტის ზონიდან არც თუ ისე შორს მდებარეობს, დროებითი სახლი გახდა რუსეთიდან და უკრაინიდან ჩამოსული ათასობით ადამიანისათვის. ახალმოსულთა უმრავლესობამ დროებით საცხოვრებლად დედაქალაქი თბილისი და ზღვისპირა ქალაქი ბათუმი აირჩია.

ვინ არის ეს ხალხი? რატომ აირჩია საქართველო? როგორ მოვიდნენ აქ? როგორია მათი გეგმები და განცდები, პრობლემები და ყოველდღიურობა ახლა? უკრაინელ და რუს ახლადჩამოსულებს აქვთ თუ არა ერთმანეთთან შეხება? გეგმავენ თუ არა საქართველოში დარჩენას? ეს და სხვა კითხვები იყო ჩვენი კვლევის საფუძველი, რომელიც ჩატარდა რუს და უკრაინელ ახლადჩამოსულებს შორის თბილისსა და ბათუმში.

საველე კვლევის დროს ჩატარდა ნახევრად სტრუქტურირებული სიღრმისეული ინტერვიუების სერია საქართველოში უკრაინელ და რუს ახლადჩამოსილებთან. ზოგიერთი კითხვა იცვლებოდა ინტერვიუს დროისა და სივრცის შესაბამისად. ანალოგიურად, ინტერვიუების ხანგრძლივობა დამოკიდებული იყო რესპოდენტების სურვილზე.

ომის დაწყებისა და უკრაინელი ხალხის საქართველოში შემოდინების პირველივე დღეებიდან ქართულმა პოლიტიკურმა პარტიებმა უკრაინელი ხალხის დასახმარებლად ბანაკები შექმნეს. ისინი უკრაინელებს არა მხოლოდ მატერიალურ დახმარებას უწევენ, არამედ ფსიქოლოგიურ და საგანმანათლებლო მომსახურებაც გათვალისწინებულია. როგორც ზიმლარ ბერიძემ (უკრაინის დახმარების ცენტრის ხელმძღვანელმა) აღნიშნა, «ისინი ყველანი ახლა ერთ ოჯახს წარმოადგენენ, ყოველთვის მიხარია, როცა უკრაინელი ბავშვები ჩვენთან არიან და ქუჩის სხვადასხვა მხრიდან მეძახიან». ასეთი ოჯახური ატმოსფერო ქმნის ერთგვარ მიზიდულობას ქართველებსა და უკრაინელებს შორის. ასევე, აქტიურად გროვდება ყველანაირი საჭირო ნივთი, ფრონტის ხაზზე მყოფების დასახმარებლად.

ადგილობრივად მცხოვრები უკრაინელი და რუსი ახალჩამოსულებიც ჩართულები არიან ინიციატივებში, რომელიც მიზნად ისახავს უკრაინელი დევნილების დახმარებას საქართველოში. აღსანიშნავია, რომ მათი უმრავლესობა საქართველოში რუსეთის გავლით ჩამოვიდა და, ძირითადად, ოკუპირებული ტერიტორიებიდან არიან.

უკრაინელი ახალჩამოსილების მცირე რაოდენობა ევროპის ქვეყნებიდან თვითმფრინავით ჩამოვიდა. საქართველო

რამდენიმე მიზეზით აირჩიეს, მანამდე იყვნენ ნამყოფები, აქ ჰყავდათ ნათესავები, ჰქონდათ კავშირები ან მათი მეგობრები ცხოვრობდნენ აქ. ზოგმა კი უბრალოდ დროებითი საცხოვრისისთვის კარგ ვარიანტად მიიჩნია. „თავიდან პოლონეთში ვიყავი გაქცეული, იქ ჩავატარე კვლევა, სად უნდა წავსულიყავი, რომ სამსახური მეშოვა, ასევე ცხოვრებისთვის კარგი პირობები შემექმნა და შეგნებულად ავირჩიე საქართველო და ბათუმი“, — ამბობს 31 წლის კ. .

უკრაინელი დევნილებისთვის მთავარ სირთულეს სამუშაოს შოვნა წარმოადგენს ენობრივი ბარიერის გამო. ქართულად არ საუბრობენ, ხშირად ინგლისურად საუბარიც უჭირთ. ლინგვისტურ და კულტურულ ასიმილაციას დიდი დრო, შრომა და რესურსი სჭირდება, მით უმეტეს, რომ საქართველოს აქვს შეზღუდული რესურსი უცხოელებისთვის ქართულის შესასწავლად.

კვლევამ აჩვენა, რომ უკრაინელ მიგრანტებს ხშირად აქვთ ეკონომიკური პრობლემები. დახმარებას, ძირითადად, სთხოვენ მთავრობას, განსაკუთრებით ბავშვების განათლების უზრუნველყოფის კუთხით.

საქართველოში მრავალი ეკონომიკური პრობლემაა, მაღალია სიღარიბისა და უმუშევრობის დონე, რის გამოც ბევრი უკრაინელი ცდილობს დატოვოს ქვეყანა და უკეთესი საცხოვრებელი პირობები მოიძიოს. ეკონომისტი ტატო ხუნდაძე ამბობს: „ქართველები თვითონ გარბიან საქართველოდან, ასე მოიქცევიან რუსებიც და უკრაინელებიც“. მის პრეზენტაციაში წარმოდგენილი სტატისტიკის მიხედვით, 2022 წლის 24 თებერვლის შემდეგ საქართველოში 450 000 რუსი ახალჩამოსულიდან ქვეყანაში მხოლოდ 50 000 დარჩა.

გუპტა და ფერგიუსონი (1997) აღნიშნავენ, რომ ზღვარი „აქ“ და „იქ“-ს შორის, ამჟამინდელი საცხოვრებელი ადგილისა და კუთვნილების ადგილს შორის, ხშირად ბუნდოვანია მიგრანტებისთვის. დევნილთათვის მათი წარსულის დამახსოვრებულ ადგილებს აქვთ სიმბოლური და გადამწყვეტი როლი. „სამშობლო“ მათთვის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან გამაერთიანებელ კატეგორიად რჩება (Gupta and Ferguson 1997). მიგრანტები, გუპტასა და ფერგიუსონის (1997) მიხედვით, იყენებენ ადგილის მესიერებას თავიანთი ამჟამინდელი რეალობისა და მათი „სამყაროს“ წარმოსახვის ასაგებად.

მიგრაციის სიტუაცია იწვევს წარმოსახვით გეოგრაფიულ გარემოს, სადაც ორი სამყარო, ახლანდელი და წარსული, ურთიერთდაკავშირებულია (Keith and Pile 1993:18). არსებობს შეხედულება იმის შესახებ (Ganguly 1992, Revill 1993), რომ პრემიგრაციული წარსულისა და ადგილების ნარატივები გადამწყვეტ როლს თამაშობს მიგრანტების იდენტობაში და ხელს უწყობს მათში საზოგადოების ნაწილად თავის აღქმას. მიგრანტებისთვის აწმყო თავის მნიშვნელობას მხოლოდ მაშინ იძენს, როცა მას პრემიგრაციული წარსულის მითითება ამყარებს (Ganguly 1992).

პაპადოპულოსი (2002:15) ხაზს უსვამს, რომ იძულებითი მიგრანტებს აქვთ ღრმა ლტოლვა დაკარგული სახლების მიმართ და აღწერს ამ ლტოლვას სიტყვა — ნოსტალგიით. სახლის არარსებობა ქმნის უფსკრულს, რომლის შევსებასაც იძულებითი მიგრანტები ცდილობენ თავიანთი სახლის გარკვეული მახასიათებლების ხელახალი შექმნის დახმარებით (Papadopoulos 2002:16). პაპადოპულოსის (2002:17) მიხედვით, სახლი არის პიროვნების იდენტობის კონსტრუირებისთვის მთავარი კონცეფცია, რაც ისეთ გადამწყვეტ ელემენტებთან ერთად გვხვდება, როგორცაა მიკუთვნება არსებულ ქვეყანას და მოცემულ ენობრივ ჯგუფს, კონკრეტულ გეოგრაფიულ ლანდშაფტს, გარემოს და ჩვევებს, ასევე გარკვეული ბევრების, სუნების, გემოვნებისა და არქიტექტურული ტიპების მიმართ. თანამედროვე სამყაროში ხდება იდენტობის დეტერიტორიალიზაცია და იძულებითი მიგრანტები სწორედ ამ პროცესს განიცდიან (Gupta and Ferguson 1997).

საკუთარი სახლის რეკონსტრუქციის ერთგვარი მცდელობის მაგალითებია სპეციფიკური აქტივობები, ადგილები და ისეთი რიტუალები, რაც მათი კულტურისთვისაა დამახასიათებელი. მიკროკულტურული სამყაროს ხელახალი შექმნა კონკრეტულ სივრცით საზღვრებში, როგორცაა მაგალითად რესტორნები, მაღაზიები, ტაძრები ან ეთნიკური ანკლავები ქალაქებში, ასევე თვითდახმარების ან ურთიერთდახმარების ჯგუფები მიგრანტებისთვის სახლის განცდისა და შეგრძნების შენარჩუნების სტრატეგიას წარმოადგენს. ამითი ხდება იდენტობის და მათი კულტურული დანაკარგის განცდის შემცირება (Helman 2007). ამგვარად, კულტურულად სპეციფიკური აქტივობები, ადგილები, თვითდახმარების ინიციატივები და რიტუალები ეხმარება იძულებითი მიგრანტებს ხელახლა შექმნან საკუთარი ადგილი ახალ ქვეყანაში, შექმნან და შეინარჩუნონ კონტაქტებისა და ურთიერთობების ქსელი მსგავსი ენისა და კულტურული წარმოშობის ადამიანებთან და იგრძნონ კავშირი მათ ფესვებთან.

ჯერ ნაადრევია დასკვნების გაკეთება თბილისის ან ბათუმის ურბანულ ლანდშაფტებზე რუსი ან უკრაინელი ახალჩამოსულების გავლენის შესახებ. მიუხედავად ამისა, თვითდახმარების ინიციატივების ან კულტურულად სპეციფიკური ადგილების შექმნის ტენდენცია შესამჩნევია მათი ქვეყანაში მოსვლის პირველივე დღეებიდან.

უკრაინელმა ახალჩამოსულებმა ჩამოაყალიბეს არაერთი თვითდახმარების ერთობა და გაერთიანდნენ ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების გარშემო, რომლებიც ეხმარებოდნენ მათ და ასევე კულტურულ ინსტიტუტებს. ეს გან-

საკუთრებით მნიშვნელოვანია მათთვის, ვინც ბავშვებთან ერთად ჩამოვიდა საქართველოში და დიდ ყურადღებას აქცევს თავისუფალ დროს თანატოლებთან მშობლიურ ენაზე საუბარსა და ინტერაქციას.

ზოგმა შექმნა ადგილობრივი მცირე ბიზნესი, სილამაზის სალონები, კაფეები, ბარები და რესტორნები. საინტერესოა, რომ ქართულმა რესტორნებმა დაიწყეს ახალჩამოსულების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ერთი მხრივ, ბათუმსა და თბილისში შეგიძლიათ იხილოთ რამდენიმე სარეკლამო აბრა ტექსტით — „უკრაინული საკვები, როგორც საკუთარ სახლში“. მეორე მხრივ, ბევრმა ადგილობრივმა კაფემ, რომლებიც თავდაპირველად მხოლოდ ევროპულ სამზარეულოზე იყო ორიენტირებული, დამატა ტრადიციული ქართული კერძები.

აღსანიშნავია, რომ რუსეთიდან ჩამოსულებმა შექმნეს თბილისის ურბანული ცხოვრების საკუთარი ფენა, საქართველოში გადმონაცვლა არაერთმა რუსულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, რომლებიც განიხილავენ ადამიანის უფლებებს, ქვიარ საკითხებს, ფემინისტურ დღის წესრიგს, ომის საწინააღმდეგო მოძრაობას და ა.შ. მართლაც, მიგრანტების მიერ ხდება არა მხოლოდ ფიზიკური, არამედ ინტელექტუალური ლანდშაფტის ხელახალი შექმნა.

კიდევ ერთი ცვლილება, რაც ძალიან თვალსაჩინოა საქართველოს უდიდესი ქალაქების საჯარო სივრცეებში, არის რუსულენოვანი მოსახლეობის სიმრავლე. ამას ქართველი მოსახლეობა განსაკუთრებული ემოციით აღნიშნავს. „რომელი საათია?“ — მეკითხება მოხუცი ბათუმის ბულვარში, ძველ პორტთან, სადაც ჩემს ქალიშვილთან ერთად ვზივარ, რომელსაც ეტლში ეძინა. რუსულად მელაპარაკება. ცოტა ხანში ეტლში უფრო ახლოდან იყურება და ქართულად მეკითხება თბილისელი ხარო. „დღეს ბათუმში იმდენი რუსულენოვანია, რომ ბულვარში ყოფნისას ქართულად საუბარს აღარ ვიწყებ“, განაგრძობს ის. «ეს არ არის კარგი. აქ მოდიან, ქართველები კი უმუშევრობის გამო საზღვარგარეთ მიდიან“.

ბათუმის ბულვარი მართლაც სავსეა რუსულენოვანებით — ისევე როგორც თბილისის ძველი უბნები და დიდი პარკები. ეს უჩვეულო მოვლენაა ტურისტული სეზონის მიღმა. ბათუმი საქართველოში მიგრაციის ძალიან კარგი მაგალითია, რადგან ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში ქართული საუბრი ხშირად არ ისმის. ადგილობრივები ჩვეულებრივ რუსულად იწყებენ საუბარს იმ ადამიანებთან, რომლებსაც არ იცნობენ, რადგან მათ ირგვლივ უმრავლესობა რუსი ან უკრაინელია.

რუს და უკრაინელ ახალჩამოსულებს საქართველოში, როგორც წესი, ერთმანეთში კონფლიქტები არ აქვთ. კონფლიქტოლოგი გიორგი გობრონიძე ამბობს, რომ „ძალიან ხშირია რუსულ-უკრაინული ბიზნესი“, ისინი თანამშრომლობენ და ცდილობენ შექმნან პატარა დახურული საზოგადოებები, სადაც მხოლოდ რუსები ან უბრალოდ უკრაინელები იკრიბებიან. ჩვენი კვლევის ფარგლებში გვქონდა რამდენიმე შემთხვევა, როდესაც რუსულენოვან სარესტორნო ბიზნესს პრობლემები შეექმნა ქართველ კოლეგებთან, ენობრივი ბარიერის გამო, მათ შორის მენეჯმენტთან და ქართული ენის არმცოდნე პერსონალთან. ასეთი ადგილები, რომლებიც ხშირად იხსნება რუსი ან უკრაინელი ახალმოსახლეების მიერ, ემსახურება ძირითადად რუსულენოვან ადგილობრივ თემებს, უკრაინელებს, ბელორუსებსა თუ რუსებს.

გარკვეული კულტურულად სპეციფიკური ადგილის კუთვნილების განცდა არის პიროვნების თვითიდენტობის კონსტრუქციის მნიშვნელოვანი მახასიათებელი (Papadopoulos 2002, Lengen and Kistemann 2012). ანალოგიურად, კულტურულად სპეციფიკური ტრადიციები და რიტუალები გადამწყვეტი ფაქტორებია თვითიდენტობის ფორმირებისა და შენარჩუნებისთვის, რადგან ისინი ქმნიან სტაბილურობისა და ფესვების განცდას (Papadopoulos 2002, Helman 2007). ისევე, როგორც სივრცის დიზაინი და არქიტექტურა, ისინი ხშირად გამოიყენება პოლიტიკური მიზნებისთვის და ამას გარკვეული მიზეზები აქვს. ადგილი ასევე აღიარებულია, როგორც გადამწყვეტი ფაქტორი იძულებითი მიგრაციის გამოცდილებაში (Kaiser 2008, Sampson and Gifford 2009).

კულტურული განსხვავებებისა და ენობრივი სირთულეების გამო ამ ადამიანებს ხშირად აქვთ პრობლემა ჯანმრთელობის, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით, რაც გამოწვეულია ახალი საცხოვრებელი ადგილით. ასევე ცხადია, რომ იძულებით მიგრანტებს ხშირად არ აქვთ შანსი მოემზადონ, არც ფსიქოლოგიურად და არც პრაქტიკულად, თავიანთი გადაადგილებისთვის და ხშირად არ აქვთ შესაძლებლობა თან წაიღონ მატერიალური, სულიერი თუ რელიგიური მნიშვნელობის მქონე საგნები. იძულებითი მიგრაციის სიტუაცია ხშირად დაკავშირებულია განცალკევებასთან არა მხოლოდ ჩვეულებრივი კონტაქტებისა და მეგობრების ქსელიდან, არამედ ოჯახისგან. იძულებითი მიგრანტები ხშირად ვერ ახერხებენ თავიანთი ცხოვრების წესის გაგრძელებას და ახალ ქვეყანაში საკუთარი თავის პროფესიულად რეალიზებასაც კი. ყოველივე ეს ქმნის სტრესულ სიტუაციას, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს მიგრანტების ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობაზე. იძულებითი მიგრაციის ვითარება გულისხმობს არა მხოლოდ მატერიალური საკუთრების და პერსონალური ურთიერთობების ქსელების დაკარგვას, არამედ გარკვეული სოციალურ-კულტურული პრაქტიკისა და სოციალური და ფიზიკური პეიზაჟების დაკარგვას, რომლებიც მათ აღიქვამდნენ როგორც ნაცნობს და ინტიმურს, რაც შეადგენდა მათი „სახლის“ მთავარ ცნებებს. (კაიზერი 2008).

აშკარაა, რომ იძულებითი მიგრანტების კულტურული საჭიროებები დაკავშირებულია მათ იდენტობას, მშობლიურ

ენასა და კულტურასთან კავშირების შენარჩუნებასთან. მიგრანტების მნიშვნელოვანი სოციალური მოთხოვნილებაა კომუნიკაცია. იძულებითი მიგრაცია ჩვეულებრივ ხდება საჭირო მომზადების გარეშე და მიგრანტებმა ხშირად არ იციან მასპინძელი ქვეყნის ენა. მიგრანტების ეკონომიკური საჭიროებები უპირველეს ყოვლისა საცხოვრებლისა და დასაქმების ადგილის ძიებით შემოიფარგლება. ზემოთ ჩამოთვლილი საჭიროების არქონამ კი შეიძლება გავლენა მოახდინოს ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

უკრაინიდან საქართველოში ჩამოსულმა თითქმის ყველა რესპონდენტმა ახსენა სოციალურ თუ ჯანმრთელობის საჭიროებებთან დაკავშირებული პრობლემები. ახალჩამოსულთა უმრავლესობა ბავშვები და ქალები არიან. მათი თქმით, მათთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დარწმუნდნენ, რომ მათ შვილებს ან შვილიშვილებს აქვთ საკმარისი შესაძლებლობები სკოლის ან საბავშვო ბაღის შემდეგ თავისუფალი დროის გასატარებლად. „არ მინდა მტერმა ჩემი შვილიშვილების ბავშვობა მოიპაროს“, — ამბობს ერთ-ერთი მათგანი.

ჩვენ მიერ ჩატარებული ინტერვიუებით ირკვევა, რომ ახლადჩამოსული უკრაინელების უმეტესობა დგას მტკიცედ და აქვს დიდი იმედი, რომ უკრაინა რუსეთთან გაიმარჯვებს და სამშობლოში დაბრუნდებიან. რაც შეეხება რუსეთიდან ახალჩამოსულთა აზრს, ისინი ძირითადად ვერ ხედავენ თავიანთი უკან დაბრუნების პერსპექტივას.

რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა საქართველოში არსებულ კონფლიქტებზე

(მასობრივი მიგრაცია და მისი შედეგები)

ნინო ბიგვაჟა

მაგისტრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საკვანძო სიტყვები: საქართველო, რუსეთ-უკრაინის ომი, კონფლიქტები, ოკუპირებული ტერიტორიები, მასობრივი მიგრაცია.

„ომის ხასიათი მუდმივად ცვალებადი ფენომენია, მისი ცვალებადი ბუნება დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე, მათ შორის საბრძოლო ველის გეოგრაფიულ მდებარეობაზე, მეომრებზე და მათი ტექნოლოგიური განვითარების დონეებზე“ (Lonsdale, 2016, გვ.22). ასე ახასიათებს კარლ ფონ კლაუზევიცი ომის ბუნებას. მისი სიტყვებიდან გამომდინარე, ცვალებადია ომის წამოწყების მიზეზები, წარმოება, ტაქტიკა და სტრატეგია. 21-ე საუკუნეში შეიარაღებული კონფლიქტი პრობლემის მოგვარების უკიდურეს ფორმას წარმოადგენს, თუმცა ამგვარ მოცემულობას დღესაც ვხვდებით.

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის დაწყებით თანამედროვე ევროპისა და ზოგადად მსოფლიოსთვის განსაკუთრებული გარემოებები შეიქმნა. ომის მიზეზებად მხარეების მიერ დასახელებულმა განსხვავებულმა არგუმენტებმა ცხადჰყო, რომ კლაუზევიცისეული ნათქვამი გარკვეულწილად მართლდება. ერთი მხარისთვის ომი ეს გახლდათ ერთგვარი თავდაცვა, მეორესთვის კი სპეციალური ოპერაცია.

მოვლენათა ამგვარმა განვითარებამ მთლიანად შეცვალა არსებული პოლიტიკური დღის წესრიგი, რამაც უამრავი გამოწვევის წინაშე დააყენა თანამედროვე სახელმწიფოები. ომის მოცემულობაში საკმაოდ რთულია რაიმეს წინასწარმეტყველება, თუმცა ერთი გარემოება უდავოა — კონფლიქტმა მნიშვნელოვანი გლობალური ცვლილებები გამოიწვია. ამას მოჰყვა სხვადასხვა ორგანიზაციების ერთგვარი გამოცოცხლება („ნატო“-ს გაფართოების პერსპექტივა), პოსტსაბჭოთა ქვეყნების უმეტესობა კი ერთგვარი დაკვირვების რეჟიმში გადავიდა. აქვე უნდა აღინიშნოს ის ეკონომიკური გამოწვევები, რომელმაც შეცვალა გეოპოლიტიკური მოქმედების წესები. ამოქმედდა სანქციების პაკეტი რუსეთის მიმართ, თავის მხრივ, რუსეთმა შეაჩერა ბუნებრივი რესურსების ექსპორტი ევროპის ქვეყნებში, რამაც ისინი დააყენა ენერგეტიკული პრობლემის წინაშე (გამოცემა „BM Georgia“, 2022).

ზემოაღნიშნულ გლობალურ პოლიტიკურ ცვლილებებზე გაცილებით დიდი ზიანი მიადგა საზოგადოებას სოციალურ და ჰუმანიტარულ კონტექსტში. უამრავ ადამიანს როგორც უკრაინიდან, ისე რუსეთიდან, მოუწია ოჯახის დატოვება და საცხოვრისის სხვა ქვეყნებში ძიება, აღნიშნული მიგრაციული ნაკადის მართვა ევროპული სახელმწიფოების ერთ-ერთი ყველაზე დიდ გამოწვევად იქცა. საჭირო გახდა შესაბამისი სოციალური პოლიტიკის შემუშავება და ამ ადამიანების ელემენტარული პირველადი საჭიროებებით უზრუნველყოფა.

ერთ-ერთი მიმართულება, რომლისკენაც ისინი გაეშურნენ სწორედ საქართველო გახლდათ. შესაბამისად, ქვეყნის შიდა ვითარებაც მნიშვნელოვნად შეიცვალა. საქართველოში, მსგავსად ევროპული ქვეყნებისა, არ არსებობდა რაიმე კონკრეტული პოლიტიკა, რომელიც მიგრანტების ნაკადზე იქნებოდა მორგებული. მიუხედავად ამისა, პირველადი საჭიროებების დაკმაყოფილება საწყის ეტაპზე მალევე მოხერხდა — უკრაინელი ლტოლვილები განათავსეს სასტუმროებში, შეიქმნა არაერთი უკრაინული სექტორი, თუ სკოლა.

რუსეთ-უკრაინის დაპირისპირებამ საქართველოში არასტაბილური მდგომარეობა გამოიწვია. სხვადასხვა პოლიტიკური დისკურსის გაჩენამ, ამ კონფლიქტის მიმართ მოსახლეობის აზრი ორად გაყო და შექმნა ორი განსხვავებული პოლუსი. საზოგადოების ნაწილში ჩვენთან არსებული კონფლიქტის განახლების ძლიერი შიში გაჩნდა, მეორე ნაწილი კი დარწმუნებული იყო მსგავსი საფრთხის არარსებობაში.

საქართველოს მოქალაქეების ჩართულობა პოლიტიკურ პროცესში საკმაოდ მაღალი იყო, რაც გამოიხატებოდა უკ-

რაინის მხარდამჭერი არაერთი აქციის ჩატარებით, ამასთანავე უამრავი მოხალისეობრივი ორგანიზაციის ფორმირებითა და მასობრივი დემონსტრაციებით.

რუსეთ-უკრაინის ომის საწყის ეტაპზე საქართველოს შიდა ვითარების პროგნოზები სხვაგვარი იყო, შემდგომ ეს განწყობები მნიშვნელოვნად შეიცვალა. მოცემული სტატიის მიზანია წარმოაჩინოს რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის შედეგად წარმოქმნილი მიგრაციული ნაკადის გავლენა საქართველოს შიდა ვითარებასა და არსებულ გაყინულ კონფლიქტებზე, როგორია მოსახლეობის განწყობა მიგრანტებისა და ზოგადი მდგომარეობის მიმართ.

შიდა საფრთხეები

რუსეთ-უკრაინის კონფლიქტის შედეგად მნიშვნელოვნად შეიცვალა საქართველოს შიდა ვითარება. პოლიტიკური ჯგუფების მოსაზრებები გაიყო, რამაც, თავის მხრივ, მოსახლეობის პოლარიზაციაც გამოიწვია. შეიქმნა საფრთხის შეგრძნება, რის გამოც საქართველოს ხელისუფლება უფრო ფრთხილი პოლიტიკით გამოირჩეოდა. მეორეს მხრივ, კი იყო არაერთი მოწოდება მკვეთრი ნაბიჯების გასატერებლად, როგორც შიდა დონეზე, ისე საერთაშორისო პარტნიორებთან.

შიდა დონეზე მკვეთრად შეიცვალა ეკონომიკური და სოციალური ფონი, რაც გამოიწვია მიგრანტთა დიდმა ნაკადმა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებით 2022 წლის მარტში საქართველოს ტერიტორიაზე სასაზღვრო გამშვები პუნქტებით შემოვიდა რუსეთის 45068 მოქალაქე, სექტემბრის პერიოდში მათი რაოდენობა შეადგენდა 222274, ხოლო დეკემბერში — 131546 (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, 2022 წელი).

ამგვარი ვითარების ფონზე მნიშვნელოვნად გაიზარდა მოთხოვნა უძრავ ქონებაზე, რამაც როგორც ბინებზე, ისე შიდა ბაზარზე არსებულ სხვადასხვა ტიპის პროდუქციაზე ფასების მატებას შეუწყო ხელი. ეს ყოველივე კი ექსპერტების მხრიდან, როგორც ეკონომიკური განვითარებისა და წინსვლის პოტენციალად შეფასდა.

აღნიშნული სტატიის მოსამზადებლად ჩატარდა კვლევა, რომლის მიზანიც იყო მიგრაციით გამოწვეული პროცესების გაანალიზება, მისი გააზრება ქართული, უკრაინული და რუსული პერსპექტივიდან, ამასთანავე ამ ყოველივეს ურთიერთმიმართების დადგენა საქართველოში არსებულ კონფლიქტებთან მიმართებით. უნდა აღინიშნოს, რომ ექსპერტების მხრიდან დადებითად შეფასებული მიგრაციული ნაკადი როგორც თბილისის, ისე ბათუმის ქართველმა რესპონდენტებმა სხვაგვარად შეაფასეს. მათი აზრით:

„ბინებზე საოცრება ხდება, პირველად რომ გადმოვედი თითქმის შეუსახლებელი იყო აქაურობა, მარტიდან თითქმის ყველა ბინა ნაყიდა...“ — (დავითი, 32 წლის, მუსიკოსი, ქართველი).

„მშენებარე იყო ეს კომპლექსი, როცა ვიყიდე ბინა, შემოსახლების შემდეგაც 1-2 წელი თითქმის ცარიელი იყო კორპუსი, აპრილიდან კიდე ისეთი ამბავი ხდება... ჩემს მეზობლად ერთი წყვილი ცხოვრობს ნაქირავები აქვთ ბინა, თავიდან 300\$-ს ვიხდიდითო და მარტიდან გაგვიძვირეს და 600\$ გაგვიხდაო... რამდენიმეს კიდე გადასვლა მოუწია, რაც ძალიან სამწუხაროა...“ — (მარიამი, 28 წლის, სოც. მედია მენეჯერი, ქართველი).

უნდა აღინიშნოს, რომ რესპონდენტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ შესაძლოა სხვა ტიპის საფრთხის წინაშეც აღმოვჩნდეთ. კონფლიქტის საწყის ეტაპზე საქართველოს მოსახლეობა აგრესიულად იყო განწყობილი რუსი მიგრანტების მიმართ, ამიტომაც არაერთი შელაპარაკების ფაქტს ჰქონდა ადგილი. ამგვარ კულტურულ უთანხმოებებს უსვამენ ხაზზე კვლევის რესპონდენტებიც:

„ჩვენთან სასტუმროში რამდენიმე შემთხვევა გვექონდა, როდესაც აქ რესტორანში სტუმრები დამთვრალან და რუსებთან უჩხუბიათ... მსგავსი შელაპარაკებებისას ხშირად დაუძვრევიათ ჭურჭელიც და იქამდეც მისულა საქმე, რომ გაშვდება დაგვჭირვებია. ახლა ნაკლებადაა ეს, მაგრამ ეს ამბები, რომ დაიწყო მაშინ სასტუმროს დაცვა სულ მობილიზებული გვეყავდა რამე სერიოზული რომ არ მომხდარიყო.“ — (მაია, 33 წლის, სასტუმროს მენეჯერი, ქართველი).

„თავიდან ძალიან მიჭირდა თავის შეკავება რამე რომ არ მეთქვა. ეზოში ხშირად ისმოდა კაცების ჩხუბი ამათთან [მიგრანტებთან]. ყველა ამათ ვაბრალებდით ომს და მგონია ამან ერთმანეთის მიმართ უნდობლადაც განგვაწყო. არადა ცოტა რომ დავცხრი და ველაპარაკე ჩემს სამეგობროშიც ვისთანაც გადავიკვეთე ჩვენნაირ აზრზე არიან ისინიც. ეს საერთო აგრესია რაც გვაქვს მგონია ძალიან გვაშორებს ერთმანეთს.“ — (ირაკლი, სტუდენტი, ქართველი).

რესპონდენტებთან შიდა საფრთხეებზე საუბრისას გამოიკვეთა ერთი განსაკუთრებული ფენომენი. რამდენიმე მათგანმა გააკეთა შემდეგი ტიპის დაშვება, - „რა ელის საქართველოს“, „ჩვენც იგივე დღეში ხომ არ ვიქნებით“, „ადრე თუ გვიან ჩვენც გველის ეს“. ამის საფუძველზე საჭიროდ მივიჩინეთ აღნიშნული განწყობები გვეკვლია და დაგვედგინა თუ რა გავლენა იქონია მიგრაციულმა დიდმა ნაკადმა საქართველოში არსებულ გაყინულ კონფლიქტებზე, როგორ უყურებს ამ ყოველივეს მოსახლეობა და რა მოლოდინები გააჩნიათ.

განწყობები ოკუპირებულ ტერიტორიებში

რუსულ-უკრაინული კონფლიქტის შედეგად მნიშვნელოვნად შეიცვალა საზოგადოებრივი აზრი საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებები მხარს აქტიურად უჭერენ რუსეთის ფედერაციას, როგორც სტრატეგიულ პარტნიორს, მაინც შეინიშნება მოსახლეობის უკმაყოფილება.

უკრაინაში მიმდინარე კონფლიქტმა აფხაზეთის მოსახლეობაში უამრავი შიში და უკმაყოფილება წარმოშვა. მთავარ უკმაყოფილებას მათი ომში გაწვევა იწვევდა. სოციალურ ქსელებში ნათლად ჩანდა გაუცხოება სოციალურ და დე ფაქტო ხელისუფლებას შორის.

აღსანიშნავია, რომ ეწყობოდა ვეტერანთა შეხვედრები, სადაც განიხილავდნენ შესაძლო საფრთხეებს. ერთ-ერთი ასეთი იყო დისკუსიათა ციკლი, რომელიც აფხაზეთის ტერიტორიაზე ჩატარდა და განიხილებოდა თანამედროვე აფხაზეთის გამოწვევები (Апсныпресс, 2022). აფხაზეთში ცნობილი აკადემიკოსი ვიქტორ ჯიკირა ერთ-ერთი მსგავს გამოვლას განიხილავდა მეორე ფრონტის გახსნის შესაძლებლობებს, რაშიც ნათლად წარმოაჩინა საქართველოს მშვიდობის მშენებლობის განწყობები (Апсныпресс, 2022). თუმცა, როგორც ჩანს, ამგვარი ინტელექტუალური ელიტა აფხაზეთის მოსახლეობაზე ნაკლებად ზემოქმედებს, რადგაც საზოგადოება ომში გაწვევის საშიშროებას მაინც ხედავდა.

აფხაზეთისგან განსხვავებით, ცხინვალში მყოფი ახალგაზრდები აქტიურად გაიწვიეს, რომელთაგან რამდენიმე გარდაიცვალა კიდევ. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ სამხრეთ ოსეთში მყოფი მოსახლეობა რიცხვობრივად გაცილებით მცირეა, ის გავლენას მიმდინარე გაწვევის პროცესზე ვერ ახდენს (ქევანიშვილი, 2022).

ცალკე უნდა გამოვყოთ სოციალური ქსელები. დაკვირვებამ აჩვენა მკვეთრი განსხვავება საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების განწყობებს შორის. აფხაზეთში შესამჩნევია ანტირუსული განწყობა, მოსახლეობა ომში ჩართვას უარყოფითად უყურებს და დემოგრაფიულ საფრთხედ აღიქვამს, ხოლო ცხინვალის შემთხვევაში ეს დამოკიდებულება ამდენად მკვეთრი არ არის, ვინაიდან იქაურ მაცხოვრებლებს სურვილი აქვთ რუსეთთან შეერთებისა და ამ გზით სურთ კეთილგანწყობის მოპოვება.

საქართველოს, უკრაინისა და რუსეთის მოქალაქეების განწყობები

რუსეთ-საქართველოს 1992-1993 და 2008 წლის ომების გამოცდილებამ და არსებულმა მეხსიერებამ გარკვეული კვალი დაამჩნია ქართულ საზოგადოებას. ამის შედეგი უნდა იყოს, რომ მოსახლეობაში არსებობს ერთგვარი შიში იმისა, რომ შეიძლება საქართველოშიც უკრაინის სცენარი განვითარდეს. ქართველ რესპონდენტებთან საუბრისას გამოიკვეთა რამდენიმე გარემოება. მათი აზრით, მიგრანტების ნაკადის გამო, მანიპულაცია და დაშინება რუსეთის მხრიდან აუცილებლად იქნება, ასევე მიაჩნიათ, რომ გარკვეული შევიწროვების შემთხვევაში შეიძლება ომის კვლავწარმოება დადგეს დღის წესრიგში. ინტერვიუებში საუბრისას არაერთმა რესპონდენტმა განაცხადა ამ ყველაფრის შესახებ შემდეგ კონტექსტში:

„აქ ბათუმში ძალიან ბევრი ჩამოვიდნენ [რუსი მიგრანტები], აქამდეც ჩამოდიოდნენ და ყიდულობდნენ აქ ბინებს, მაგრამ ახლა თებერვალის მერე რამდენიც წამოვიდნენ ეგ ხალხში შიშს ქმნის რა. სამეგობრო ხშირად ვლაპარაკობთ ხოლმე ამაზე და თავიდან მართლა გვეგონა, რომ ჩვენთანაც ომი დაიწყებოდა, ყველას შიში გვექონდა და ბევრმა საახლობლოში საჭმლის მომარაგებაც კი დაიწყო... ახლა იმდენად შევეჩვიეთ ეს შიში ნაკლებად გვაქვს, თან არც არაფერს გვიშავებენ ვერ... [მძიმე პაუზა]“ — (დავითი, 35 წლის, მშენებელი, ქართველი).

„არ ვიცი ამაზე რა უნდა გითხრათ, თავიდან რომ ვადმოვედი ამ კომპლექსში ბინები სულ არ იყო შევსებული, ახლა კი სულ ამათ უკავიათ, მარტიდან ძალიან ბევრმა იყიდეს ბინები... კონტაქტში დიდად არ შემოდიან... მეც შიშით ვუყურებ... მგონია ჩვენთანაც შეიძლება იგივე ამბები იყოს, რა ჭკუა დაუშლით...“ — (ნანა, 40 წლის, დიასახლისი, ქართველი).

„უთითებოდა რომ შევდივარ ძალიან კეთილად მილიმიან და მესალამებთან, აგრესია არასდროს მიგვრძნია... ხანდახან ისიც კი მიფიქრია ესენი ნაღდად რუსები ხომ არიან, ყველას ურჩხულები რომ გონიათ... მე პირადად მგონია აქ თავს კარგად გრძობენ და ამიტომ რაღაცა ომის შიში არასდროს მქონია.. ყოველ შემთხვევაში ამათ გამო ნაღდად არ დაიწყება...“ — (ია, 28 წლის, ვებდეველოპერი, ქართველი).

კვლევის ფარგლებში, გავსაუბრეთ უკრაინელ და რუს მიგრანტებს. მსგავსი შიში მათთან არ შეინიშნება. ინტერვიუებში მკაფიოდ აფიქსირებენ, რომ საქართველო რეალურად უსაფრთხო და კომფორტულ ზონას წარმოადგენს.

„აქ იმიტომ ჩამოვედი, რომ მშვიდი და თავისუფალი ქვეყანაა... ამდენი კეთილგანწყობილი და სტუმართმოყვარე ადამიანი ერთად არასდროს მინახავს... რაც შეეხება საქართველოში ომის დაწყებას მგონია ეს შეუძლებელია, მთავრობაც და ხალხიც ამას არ დაუშვებს...“ (ირინა, 27 წლის, უკრაინელი დიასახლისი).

„არსებობს გაუცხოება ჩვენს და ქართველებს შორის, ამას კარგად ვხვდებით, ამის მიზეზიც, რომ ჩვენი ქვეყნის პოლიტიკაა ესეც კარგად გვესმის, მაგრამ ვინც აქ ვართ ყველანი იმიტომ ვართ, რომ იქ რაც ხდება იმას საერთოდ არ ვეთანხმებით. უბრალოდ ამას ხშირად ქართველებს ვერ ვუსაბუთებთ იმიტომ, რომ თავიდან დიდი აგრესიით გვიყურებდა ყველა. ახლა შედარებით შემცირებულია ეს ყველაფერი და უფრო უსაფრთხოდაც ვგრძნობთ თავს“. (კატია, 25 წლის, რუსი ვებდინამერი).

„საქართველოში აქამდეც ხშირად ჩამოვდიოდი, ძალიან მიყვარს ეს ქვეყანა და ჩემი ქართველი მეგობრებისგან ვიცი, რომ ყველას ეშინოდა ომი აქაც ხომ არ დაიწყებაო. მესმის ამ ადამიანების, მაგრამ მგონია და დარწმუნებული ვარ მსგავსი რამე აქ არ მოხდება. რაციონალურად რომ დავფიქრდეთ ამის შესაძლებლობა რუსეთს ნამდვილად ახლა არ აქვს“. (საშა, 23 წლის, რუსი IT სპეციალისტი).

დავინტერესდით საქართველოში არსებული კონფლიქტების შესახებ უკრაინელებისა და რუსების ინფორმირებულობის დონით. მათი ცოდნა არ აღმოჩნდა იმდენად ამომწურავი და სრულყოფილი, რომ კონკრეტული დასკვნების გაკეთების შესაძლებლობა ჰქონოდათ. ზოგად სამომავლო პროგნოზებს აკეთებდნენ და გამოთქვამდნენ მშვიდობის სურვილს:

„რა თქმა უნდა ვიცოდი, რომ საქართველოს და რუსეთს შორის ომი იყო, მაგრამ სიმართლე გითხრა დეტალებში ინფორმაცია ნამდვილად არ მქონია. აქ ჩამოსვლის მერე უფრო გავეცანი რაღაც ინფორმაციას და ხალხმაც ბევრი რამე მომიყვა.“ (მარია, 25 წლის, რუსი მუსიკოსი).

„აქვე უფრო მეტი გავიგე აფხაზეთზე და 2008 წლის ომზე. აქამდეც ვიცოდი, რომ საქართველოს და უკრაინას ბევრი საერთო ქონდა და ჩვენი ქვეყანა გეხმარებოდათ, მაგრამ ამდენი მსგავსების შესახებ არ მქონდა ინფორმაცია.“ (ირინა, 27 წლის, უკრაინელი დიასახლისი).

საქართველოში ჩამოსულმა უკრაინისა და რუსეთის მოქალაქეებმა აქ არსებული კონფლიქტების შესახებ უფრო დეტალური ცნობები სწორედ ჩვენს ქვეყანაში ყოფნის დროს გაიგეს. ინტერვიუებში აქტიურად იკვთება ნეგატიური დამოკიდებულება საქართველო-რუსეთის ომის მიმართ, მათი აზრით ცივილიზებულ სამყაროში ომს და ძალადობას ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს:

„ყველანიარ ძალადობას ვეწინააღმდეგები, მგონია დღეს თანამედროვე სამყარო თანხმდება პრობლემის მოგვარების ალტერნატიულ გზებზე და ამის მომხრე ვარ. რუსეთიდან ჩემი წამოსვლის მიზეზიც ის იყო, რომ აქციებზე გამოვდიოდი, დაჭერილიც ვიყავი 48 საათით, რის შემდეგაც თავდებით გამომიშვეს და შემდეგ წამოვედი აქ. მგონია ადეკვატური ადამიანები არ ემხრობიან არანაირ ძალადობას.“ (საშა, 23 წლის, რუსი, IT სპეციალისტი).

კვლევისას ყურადღება გამახვილებული იყო როგორც საქართველოს კონფლიქტების მიმართ, ისე მათი სამომავლო მიმდინარეობის პერსპექტივებზე. არსებული დაკვირვებები ცხადყოფს ინტერვიუს ჩატარების პერიოდში მოსახლეობის ემოციურ სტაბილურობას. საქართველოს მოქალაქეები, ახლადჩამოსული უკრაინელებიც და რუსებიც მიიჩნევენ, რომ ამ ეტაპზე გაყინული კონფლიქტების კვლავწარმოება ნაკლებად სავარაუდოა. შიში და ნიჰილიზმი უშუალოდ შიდა ვითარების კენაა მიმართული, რიგით ადამიანებს ყოფითი პრობლემები გაცილებით მეტად აღარდებთ და ამ ყოველივეს სწორედ ამგვარი პრიზმიდან აფასებენ.

ყოველდღიურ ყოფაზე, სოციალურ ქსელებსა და ინტერვიუებ დაკვირვებისა და ანალიზის შედეგად ნათელი ხდება, რომ მიგრაციულ ნაკადს, რესპონდენტთა ნაწილი საწყის ეტაპზე გაცილებით რეაქციულად აღიქვამდა. მათივე თქმის, ეს ემოციურობა გაურკვეველობით იყო განპირობებული. თუმცა მნიშვნელოვნია აღინიშნოს, რომ ამას არ გამოუწვევია რაიმე ტიპის დაპირისპირებები საზოგადოების კონკრეტულ ჯგუფებს შორის. ისინი კვლავ მშვიდად თანაცხოვრობენ.

შეიძლება ითქვას, რომ ქართული საზოგადოება აღნიშნულ მოცემულობას შეეგუა და ხვდება, რომ ინტეგრაცია და თანაარსებობა გაცილებით მნიშვნელოვანია. ინტერვიუებშივე გამოიკვეთა ურთიერთდამოკიდებულებები, თანამშრომლობის არაერთი მაგალითი გაგვიზიარეს. აღნიშნავდნენ საერთო ინიციატივების არსებობას, ერთობლივი ძალებით უკრაინაში აგზავნიდნენ ნივთებს. არაერთმა რესპონდენტმა ხაზი გაუსვა საერთო საქმის წარმოების ფაქტებს, ისაუბრეს როგორც დადებით, ისე ამის ნეგატიურ მხარეებზე. თუმცა ამ ყოველივეს მაინც განვითარების ჭრილში განიხილავენ და იმედოვნებენ, რომ საქართველოში იქნება ისეთი გარემო, რომელიც მისცემს მათ მშვიდობიანი არსებობის შესაძლებლობას.

რეალურად კონფლიქტის მიმართ შიში დღეისათვის შენარჩუნებული მხოლოდ ოკუპირებულ ტერიტორიებზეა, ვინაიდან სწორედ იქ მყოფ მოსახლეობას აქვს გაწვევისა და ომში ჩართვის საფრთხე. სოციალურ ქსელებში ხშირად შევხვდებით სტატუსებს — „ეს ჩვენი ომი არ არის და იქ წასვლა არ გვსურს“, რაც ამ ზემოხსენებულ განწყობას ხაზს უსვამს. საზოგადოება ამ დამოკიდებულებას ორი ფაქტორით ხსნის, ესაა — დემოგრაფიული პრობლემები და ზოგადად შიდა კულ-

ტურული გაუცხოება მიმდინარე პროცესთან. მათთვის მიუღებელია ყველანაირი ტიპის ძალადობა და ისინი ამ კუთხით განუდგნენ არსებულ ხელისუფლებას (აფხაზეთის შემთხვევაში). ამგვარი დამოკიდებულებები საკმაოდ საინტერესოა და შესაძლოა დადებითი ტენდენციის მომასწავებელი იყოს უშუალოდ გაყინული კონფლიქტის მიმდინარეობაში. შესაბამისად საქართველოს კონფლიქტების მიმდინარეობაზე მიგრაციულ ნაკადებს ნაკლებად აქვს ზეგავლენა.

დასკვნა

საზოგადოება მუდმივად კონფლიქტშია ჩართული შეზღუდული რესურსების მოსაპოვებლად, სწორედ ამგვარად აავსო კონფლიქტების შესახებ პირველი თეორია კარლ მარქსმა. თანამედროვე სამყაროშიც რესურსებისა და დომინირებისთვის ბრძოლა არის უმთავრესი მიზეზი. რუსეთ-უკრაინის კონფლიქტიც შეგვიძლია სწორედ ამგვარი პრიზმიდან განვიხილოთ, სადაც ორი მხარე გარკვეული ძალაუფლების მოპოვებისთვის იბრძვის.

რუსეთ-უკრაინის ომს კონფლიქტოლოგიის თეორიების მიხედვით თუ შევფასებთ, დავინახავთ შესაბამისობას ვილსონისა და ჰანნას მიერ გამოყოფილ 7 ფუნდამენტურ საწყისთან, ესენია — რესურსების კონტროლი, ღირებულებების შეუთავსებლობა, სისტემის განსხვავებულობა, პრეფერენციები, მხარეებს შორის ურთიერთობა, სტატუსში გაურკვეველობა, ძალთა განაწილება. (Wilson & Hanna, 1990). ერთმანეთთან სრულად შეუთავსებელი აღმოჩნდა უკრაინის საგარეო კურსი და რუსეთის უსაფრთხოების პოლიტიკა, რის შედეგადაც საბოლოოდ მივიღეთ შეიარაღებული კონფლიქტი. ამ ყოველივეს მოჰყვა უდიდესი სოციო-ჰუმანიტარული პრობლემები როგორც უკრაინის, ისე რუსეთის მოქალაქეების აქტიური გადინებით. როგორც უკვე აღინიშნა, საქართველო იყო ერთ-ერთი ქვეყანა, რომელმაც მიგრანტების ნაკადები აქტიურად მიიღო.

აღნიშნული სტატიის ფარგლებში ჩატარებული კვლევის მიზანი იყო შეესწავლა მოსახლეობის განწყობები სხვადასხვა შრეზე როგორც საქართველოს, ისე უკრაინისა და რუსეთის მოქალაქეებში. ამისათვის ჩატარდა რამდენიმე ტიპის დაკვირვება, როგორც შიდა დონეზე არსებული განწყობებისა, ისე სოციალურ ქსელების მეშვეობით ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობის დამოკიდებულებებისა. გამოიკვეთა, რომ 1. კონფლიქტის საწყის ეტაპზე შიშის განცდა არსებობდა გამყოფი ხაზის ორივე მხარეს, თუმცა დღეისათვის ამგვარი აღქმა პროცესისა ნაკლებად გვხვდება. 2. რესპონდენტებთან სიღრმისეული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პირველადმა ემოციურმა ფონმა ერთგვარად გადაიარა, რის გამოც ისინი ამჟამად ომის მიმდინარეობას უფრო რაციონალურად და ცივი გონებით აღიქვამენ. ჩატარებული 30 სიღრმისეული ინტერვიუდან უმეტესწილად ყველა ინტერვიუში ამგვარი ემოციური ცვლილება ტენდენციური იყო. შესაბამისად, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების განახლების შიში დღეისათვის ნაკლებად შეინიშნება. მოსახლეობის ნაწილი უფრო მეტად წუხს შიდა სოციო-ეკონომიკურ, თუ კულტურულ საფრთხეებზე.

საქართველოში არსებულ გაყინულ კონფლიქტურ ვითარებაზე არსებული მიგრაციული ნაკადი არ ახდენს იმდენად გადამწყვეტ გავლენას, რამდენადაც სხვა პოლიტიკური მოქმედებები. ჩვენი ქვეყნის შემთხვევაში, მიუხედავად მოსახლეობის განწყობებისა და შიშისა, ჰერჯერობით არ შექმნილა რაიმე რეალური საფრთხე კონფლიქტების განახლების და მეორე ფრონტის გახსნისა. ნათელია, რომ ამის რესურსი რეალურად არც ერთ მხარეს არ გააჩნია, კონფლიქტის განახლებას, ჩვენს რეგიონში, შეიძლება მიგრაციისგან სრულიად დამოუკიდებელმა პოლიტიკურმა მიზნებმა შეუწყოს ხელი. აქედან გამომდინარე, მიგრაცია ფასდება როგორც პროცესი, რომლის სწორი მენეჯმენტი და მართვა არის საჭირო, არსებული შიდა საფრთხეების სამართავად და დასარეგულირებლად.

გამოყენებული მასალა:

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, 2022, საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებული პირებისა და ტრასპორტის სტატისტიკური მონაცემები. ხელმისაწვდომია: <https://info.police.ge/page?id=94>
2. „BM Georgia”, 2022, მძიმე ენერგოკრიზისი მხოლოდ ახლა იწყება. ხელმისაწვდომია: <https://bm.ge/ka/article/evropashi-mdzime-energokrizisi-mxolod-axla-iwyeba---bloomberg/123110>
3. ქევანიშვილი, ე. 2022, „ვაითუ, ჩვენი შვილები ვერ დაბრუნდნენ ამ ომიდან? - რისი ემინიათ სოხუმსა და ცხინვალში?“, გამოცემა „რადიო თავისუფლება“. ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31774684.html>
4. АПСНЫПРЕСС, 2022, ГЕОПОЛИТИЧЕСКОЕ ПОЛОЖЕНИЕ АБХАЗИИ В КОНТЕКСТЕ СОВРЕМЕННОГО МИРОПОРЯДКА, ხელმისაწვდომია: <https://www.apsnypress.info/ru/novosti/item/1369-geopoliticheskoe-polozhenie-abkhazii-v-kontekste-sovremennogo-miroporyadka>
5. Lomsadze, Giorgi. 2022. Georgians grudgingly accept growing Russian presence. Eurasianet. ხელმისაწვდომია: <https://eurasianet.org/georgians-grudgingly-accept-growing-russian-presenc>
6. Lonsdale, D. (2016) The Study and Theory of Strategy. Cambridge: Cambridge University Press.
7. Wilson, G.L. & Hanna, M.S. (1990). Groups in context: Leadership and participation in small groups. New York: McGraw-Hill.

THE IMPACT OF THE RUSSIA-UKRAINE WAR ON THE EXISTING CONFLICTS IN GEORGIA

(Mass migration and its consequences)

(Extensive Summary)

NINO BIGVAVA

MA student, Tbilisi State University

Keywords: *Georgia, Russia-Ukraine war, conflicts, occupied territories, mass migration.*

“The nature of war is a constantly changing phenomenon, its changing nature depends on a number of factors, including the geographical location of the battlefield, the combatants and their levels of technological development” – Karl von Clausewitz talks about the nature of war (Lonsdale, 2016, p. 22). Therefore, it should be stated that the reasons for starting the war are changing, it is being waged with different approaches, and the strategic and tactical steps are also different. In the 21st century, armed conflict is an extreme form of problem solving, although we are faced with such a situation even today.

With the beginning of the Russia-Ukraine conflict on February 24, 2022, special circumstances were created for modern Europe and for the world in general. The different arguments given by the parties as the reasons for the war made it clear that Clausewitz’s statement is justified to some extent. For one side, the war was a kind of self-defense, and for the other, it was a special operation.

This development of events has completely changed the current political agenda, which has made modern states face many challenges. In the context of war, it is quite difficult to predict anything, but one thing is certain: the conflict has caused significant global changes. This was followed by a kind of revival of various organizations (“NATO” expansion perspective), and most of the post-Soviet countries went into a kind of observation mode. It is also necessary to mention the economic challenges that have changed the rules of geopolitical action. Sanction packages were launched against Russia, and in turn, Russia stopped the export of natural resources to European countries, which put them in front of an energy problem (BM Georgia publication, 2022).

However, the above-mentioned global political changes have caused far greater damage to society in the social and humanitarian context. Many people, both from Ukraine and Russia, had to leave their families and to look for a place to live elsewhere. The management of the migration flow has become one of the biggest challenges of the European states. It was necessary to develop appropriate social policy and provide these people with elementary basic needs.

One of the directions to which they rushed was Georgia. Accordingly, the internal situation of the country also changed significantly. In Georgia, as in European countries, there was no specific policy that would be adapted to the flow of migrants. Nevertheless, it was soon possible to meet the primary needs at the initial stage – Ukrainian refugees were accommodated in hotels, a number of Ukrainian sectors and schools were created.

It should be noted that an unstable situation was created in Georgia as well, different political discourses emerged, this divided the opinion of the population about the Russia-Ukraine conflict and created two different poles. Some of them had a strong fear of a renewal of the conflict with us, while others were convinced of the absence of such a threat. As for the direct involvement of the public in the political process, it was quite high, which was manifested by the carrying out of numerous activities supporting Ukraine, as well as the formation of numerous volunteer organizations and the holding of mass demonstrations.

At the initial stage of the Russia-Ukraine war, the forecasts of our internal situation were different, later

these attitudes changed significantly. The purpose of this article is to show the impact of the migration flow resulting from the Russia-Ukraine conflict on the internal situation of Georgia and the existing frozen conflict, what are the attitudes of the population towards the migration flow and the general situation.

In order to prepare this article, a research was conducted to analyze the processes caused by the migration to Georgia and to understand this process from the Georgian, Ukrainian and Russian perspectives, as well as to determine the interrelationship of all this with the conflicts in Georgia. Accordingly, the migration flow, positively evaluated by the experts, turned out to be different for the Georgian respondents, both in Tbilisi and in Batumi, since they evaluate the mentioned circumstance differently. In respondents' opinion, there is a very high demand for residential areas, which is why the prices, both for purchase and for rent, have increased. The respondents also believe that the increase in prices for household items is also caused by this.

It should be noted that some of the respondents believe that we may face another type of danger. At the initial stage of the conflict, the population of Georgia was aggressive towards the Russian migrants, that's why there were many conflicts. They talked about some kind of disagreements that arose on cultural grounds, which separated Russian migrants and Georgians from each other.

When talking with the respondents about internal threats, one very special phenomenon was highlighted, several of them made the following type of assumptions – “What awaits Georgia”, “Will we be in the same situation?”, “Sooner or later this will happen to us too”. Based on this, I considered it necessary to investigate the mentioned attitudes and find out what impact the large migration flow has had on the existing frozen conflicts in Georgia, how the population looks at all this and what expectations they have.

As a result of the Russian-Ukrainian conflict, public opinion on the occupied territories of Georgia has changed significantly. Despite the fact that the de facto authorities of Abkhazia and South Ossetia actively support the Russian Federation as a strategic partner, there is still dissatisfaction among the population.

The ongoing conflict in Ukraine in Abkhazia was associated with many fears. The main dissatisfaction was their conscription into the war. In social networks, the alienation between society and the de facto government was clearly visible. Veterans' meetings were organized here to discuss possible threats. One of these was a cycle of discussions held on the territory of Abkhazia, where the challenges of modern Abkhazia were discussed.

Unlike Abkhazia, the youth in Tskhinvali were recruited actively, many of whom even died. However, due to the fact that the population in South Ossetia is numerically much smaller, it cannot influence the current recruitment process.

While observing the social media, social networks, there was revealed big difference between attitudes of people in the occupied territories of Georgia. Anti-Russian sentiments are active in Abkhazia, they look negatively at the involvement in the war and perceive it as a demographic threat, and in the case of Tskhinvali, these attitudes were not so sharp, since the population there has a desire to join Russia, which is why they want to gain goodwill in this way.

The experience and existing memory of the Russian-Georgian wars of 1992-1993 and 2008 left a certain mark on the Georgian society and created a kind of fear that the Ukraine scenario could develop in Georgia as well. During the conversation with the Georgian respondents, several circumstances were highlighted, in their opinion, due to the flow of migrants, there will be manipulation and intimidation from the Russian side, and they also believe that in the case of certain harassment, a war may be on the agenda.

During the interviews, they stated that both in Batumi and in Tbilisi, due to the large migration flow, there was uncertainty and fear, an unconscious feeling towards all of this. Currently, there is no similar mood, because they do not see any danger.

As for the Russian and Ukrainian respondents, speaking with them, it is clear that they did not see the danger of war when they arrived here. For them, Georgia was a safe and comfortable zone where they feel good. As for having information about the conflict in Georgia, the Russian and Ukrainian respondents had some information, although it was not exhaustive and complete so that they had the opportunity to draw

any concrete conclusions. Based on this, they made general predictions for the future and talked about the desire for peace. During the conducted research, attention was focused both on the conflicts of Georgia and on the prospects of their future course. The available observations reveal the emotional stability of the population during the interview. Both Georgian citizens and newly arrived Ukrainians and Russians believe that at this stage the resumption of frozen conflicts is unlikely. Here, more fear and nihilism are directed towards the internal situation, ordinary people are much more concerned about existential problems and they evaluate all of this from this kind of prism.

As a result of observation and analysis of daily life, social networks and interviews, it becomes clear that the migration flow was perceived by some of the respondents as reactionary at the initial stage. According to them, this emotionality was due to uncertainty. However, it is important to say that neither after the migration flow in March nor now, has it caused any type of confrontations between specific groups of the society, and hence, they still coexist peacefully.

CONCLUSION

Society is constantly in conflict to obtain limited resources, this is how Karl Marx built the first theory of conflicts. All this is trending even today, in the modern world there is a struggle for resources and dominance. We can also consider the Russia-Ukraine conflict in this kind of prism, where two sides are fighting to gain some power.

If we evaluate the Russian-Ukrainian war in accordance with the theories of conflictology, it corresponds to each of the seven fundamental principles identified by Wilson and Hanna: control of resources, incompatibility of values, system differences, preferences, relations between parties, uncertainty in status, distribution of forces (Wilson & Hanna, 1990). In this case, Ukraine's foreign policy and Russia's security policy turned out to be completely incompatible with each other, as a result of which we ended up with an armed conflict. All this resulted in the biggest socio-humanitarian problems, with the active outflow of both Ukrainian and Russian citizens. As already mentioned, Georgia was one of the countries that actively received the flow of migrants.

The purpose of the research carried out within the mentioned article was to study the attitudes of the population at different levels, both in Georgia, as well as in Ukraine and Russia. For this, several types of observations were made, both of the moods at the internal level, and of the attitudes of the population of the occupied territories through social networks. At the initial stage of the conflict, there was a sense of fear on both sides of the dividing line, but today such a perception of the process is less common. On the basis of in-depth interviews with the respondents, it was revealed that the primary emotional background has somehow passed, due to which they now perceive the course of the war more rationally and with a cold mind. Out of the 30 in-depth interviews conducted, this kind of emotional change was the trend in almost all interviews. Therefore, it can be concluded that the fear of renewal of the existing conflicts on the territory of Georgia is less likely today. Part of the population is more worried about internal socio-economic or cultural threats.

The current migration flow does not have such a decisive influence on the frozen conflict situation in Georgia as other political actions. In the case of our country, despite the moods and fears of the population, there has not yet been any real danger of the renewal of conflicts and the opening of a second front. It is clear that neither side actually has the resources for this, the conflict in our region can be facilitated by political reasons completely independent of migration. Therefore, migration is valued as a process that needs to be properly managed and managed in order to handle and regulate existing internal threats.

